ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

კერძო სამართლის მიმართულება

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და ნამდვილობის წინაპირობები

თემის ავტორი: თეონა თოდუა

საკონტაქტო მონაცემები:

ტელ. +995 568 955755. ელ. ფოსტა: teotodua14@gmail.com

თემის ხელმძღვანელი: გიორგი ცერცვაძე, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

თბილისი

2019

აბრევიატურები

ა.შ. - ასე შემდეგ

გვ. - გვერდი

ე.ი. - ესე იგი

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

იხ. - იხილეთ

რედ. - რედაქტორი

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სკს - საქართველოს კერძო სამართლის შესახებ კანონი

CISG - საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ ვენის კონვენცია

CUECIC – საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენების შესახებ ევროკავშირის კონვენცია

ICC - საერთაშორისო სავაჭრო პალატა

eIDs - An Electronic Identification System

UNCITRAL – The United Nations Commission on International Trade Law

სარჩევი

I. შესავალი 5

II. ხელშეკრულების როლი თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში 8

1. სამართალი და ეკონიმიკა 8

2. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი 9

III. ხელშეკრულების ფორმა 10

1. ზოგადი დახასიათება 10

2. ზეპირი ფორმით დადებული ხელშეკრულება 11

3. წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება 12

3.1 ოფერტი, წერილობითი ფორმით ხელშეკრულების დადებისას 13

3.2 აქცეპტი, წერილობითი ფორმით ხელშეკრულების დადებისას 15

3.3 ხელშეკრულების დადების დრო 16

3.4 ხელშეკრულების დადების ადგილი 18

3.5 გამოსაყენებელი სამართალი 19

3.6 ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულება 21

3.6.1. ელექტრონული ხელშეკრულების დეფინიცია 21

3.6.2. ოფერტი და აქცეპტი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ხელშეკრულების დადებისას 22

IV. ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების სახეები 23

1. ზოგადი დახასიათება 23

2. ელექტრონული ფოსტის საშუალებით დადებული ხელშეკრულება 25

2.1. ელექტრონული ფოსტა 25

2.2. ელექტრონული ფოსტის გაგზავნა 27

2.3. UNCITRAL-ის მოდელური კანონი ელექტრონული ფოსტის გაგზავნასთან დაკავშირებით 28

2.4. ელექტრონული ფოსტის მიღება 30

2.5. ელექტრონული ფოსტის მიღების დრო და ადგილი 32

2.6. საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ელექტრონულ ფოსტასთან დაკავშირებით 33

3. ვებ-გვერდის საშუალებით დადებული ხელშეკრულება 34

3.1. ხელშეკრულების დადება 34

3.2. ოფერტი თუ მოწვევა ოფერტზე? 35

V. ელექტრონული ხელმოწერა 36
1. ცნება 36
2. ელექტრონული ხელმოწერის ნიშნები 37
3. ფიცრული ხელმოწერა 38
4. ელექტრონული ხელმოწერის ფუნქციები 40
VI. საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირება 40
1. კერძო სამართლის უნიფიკაცია 40
2. UNCITRAL-ის სამართლებრივი რეგულაცია ელექტრონულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით 41
2.1. საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ ვენის კონვენცია (CISG) .. 42
2.2. საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენების შესახებ ევროკავშირის კონვენცია (CUECIC) 43
2.3. UNCITRAL მოდელური კანონი ელექტრონული ვაჭრობის შესახებ.. 44
3. ევროკავშირის მარეგულირებელი კანონმდებლობა ელექტრონულ ხელშეკრულებასთან და ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებით 45
3.1. ელექტრონული ტრანზაქციებისათვის შიდა საბაზრო სივრცეში ელექტრონული იდენტიფიკაციისა და სანდო მომსახურების შესახებ ევროკავშირის დირექტივა 45
3.2. ევროკავშირის კანონმდებლობა ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებით 46
VII. საქართველოს კანონმდებლობა, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი და პერსპექტივები 47
1. საერთაშორისო შეთანხმებებით აღებული ვალდებულებები 47
2. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებით 49
2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 49
2.2. საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ 50
VIII. დასკვნა 53

ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და ნამდვილობის წინაპირობები

I. შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ეხება ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებასა და მისი ნამდვილობის წინაპირობებს. ნაშრომში მიმოხილულია ელექტრული ფორმით ხელშეკრულების დადების ცალკეული მეთოდები და პრობლემური საკითხები. ნაშრომის შესავალი ნაწილი მოიცავს კვლევის ფარგლებს, მეთოდებსა და თემის ზოგად სტრუქტურას.

i. საკითხის აქტუალურობა

მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა თუ რა როლი უკავიათ თანამედროვე სამყაროში ელექტრონული ფორმით დადებულ ხელშეკრულებებს. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ტექნიკის სწრაფი განვითარება საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარებამ რადიკალურად შეცვალა და ბევრი მიმართულებით გაამარტივა თითოეული ჩვენგანის ყოველდღიური ცხოვრება. კომპიუტერისა და სხვა ელექტრონული მოწყობილობების მეშვეობით არის შესაძლებელი დროის უმცირეს მონაკვეთში მონაცემების მოძიება, შესწავლა თუ ადამიანებს შორის სასურველი ინფორმაციის გაცვლა.[1]

თანამედროვე ეპოქაში ინტერნეტის მეშვეობით ყოველდღიურად უამრავი ისეთი საკითხის გადაწყვეტა ხდება, რომელსაც წარსულში უამრავი ადამიანური რესურსი ეთმობოდა. მსგავს საკითხთა შორის გახლავთ ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადება.[2]

ინტერნეტი არ „ემორჩილება“ არც ერთი ქვეყნის საზღვრებს, ხშირად, „უგულებელყოფს“ ამა თუ იმ ქვეყნის იურისდიქციას. ამავე დროს კი ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მასშტაბური ხდება ე.წ. „ელექტრონული კომერცია“ (Electronic Commerce – “E-Commerce”) . [3]/[4]

არსებული რეალობა გვიჩვენებს, რომ საქართველოც თანდათან ერთვება აღნიშნული ტიპის ვაჭრობაში. ყოველდღიურად მატულობს ქართული კომპანიებისა და ფიზიკური პირების მიერ ინტერნეტის მეშვეობით სხვადასხვა სახის

---

[1] ფაჩუაშვილი ნ,. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, სამართლის ჟურნალი N2, 2017.101

[2] ფაჩუაშვილი ნ,. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, სამართლის ჟურნალი N2, 2017. 102

[3] გამისონია ზ., ინტერნეტის გამოყენებით ხელშეკრულებათა დადება, ჟურნალი "პროფესია ადვოკატი". 2007. 70

[4] Burton J.S.. Contract Law: Selected Source Materials. 2009 Edition.338

ხელშეკრულებათა დადების ფაქტები.[5] ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის საჭიროებას შესწავლილ იქნეს ინტერნეტის გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას წარმოშობილი სამართლებრივი პრობლემები.[6]

ii. კვლევის ფარგლები

ნაშრომში განხილული იქნება ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულირება და მისი ნამდვილობის წინაპირობები.

ნაშრომი მოიცავს ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების ისეთ სახეებს, როგორიცაა ელექტრონული ფოსტითა და ვებ-გვერდის საშუალებით დადებული ხელშეკრულება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განხილულია ნების გამოვლენის, მისი ადრესატამდე მისვლისა და ნების ნამდვილობის წინაპირობები ელექტრონულ ფორმასთან მიმართებით.

ნაშრომი ასევე მოიცავს ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებულ საკითხებს. დეტალურად არის განხილული საქართველოში არსებული რეგულაცია ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ცვლილებები და საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული რეგულირება.

კვლევაში მიმოხილულია ელექტრონულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ევროკავშირის მიერ მიღებული დირექტივებით გათვალისწინებული რეგულაციები და მათი ქართულ კანონმდებლობაში იმპლემეტირების შესაძლებლობა.

ელექტრონული ფორმით დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ნაშრომი მოიცავს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებით დადგენილ პრაქტიკას, ნაკლოვანებებსა და გამოწვევებს.

ნაშრომის მიზანი არ არის სახელშეკრულებო სამართლის სფეროში მოქმედი უნიფიცირებული ევროპული სამართლებრივი სტანდარტებისა და ქართული კანონდებლობის შესაბამისი დებულებების შედარება ან მსგავსების და განსხვავებების კვლევა. კვლევის მიზანია ერთი და იმავე პრობლემების გასხვავებული სამართლებრივი რეგულაციების ნორმატიული ფუნქციის კვლევის საფუძველზე, უშუალოდ ელექტრონულ გარიგებებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ურთიერთობების რეგულირების მექანიზმის ქართული ვერსიის

[5] გამისონია ზ. ინტერნეტის გამოყენებით ხელშეკრულებათა დადება, ჟურნალი "პროფესია ადვოკატი". 2007, 70

[6] გამისონია ზ. ინტერნეტის გამოყენებით ხელშეკრულებათა დადება, ჟურნალი "პროფესია ადვოკატი". 2007, 70

დახვეწა, შესაბამისი ნაკლოვანებების აღმოჩენა და მოქმედი ქართული კანონმდებლობის სრულყოფისათვის ნოვატორული წინადადებების შეთავაზება. [7]

iii. კვლევის მეთოდი

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია კვლევისა და ანალიზის მეთოდი. აღნიშნული მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონით განმტკიცებული ნორმების ანალიზს. კვლევაში გამოყენებულია დედუქციური მეთოდი, რაც მოიცავს ზოგადი საკითხიდან კონკრეტულისკენ სწრაფვას და არსებული პრობლემების ნათლად გამოხატვის შესაძლებლობას.

კვლევა მოიცავს ევროკავშირის ქვეყნების მიერ დადგენილი უნიფიცირებული რეგულაციის ანალიზსს მასში გამოყენებული უცხოური სტატიების კუთხით. ასევე, მნიშვნელოვანია საქართველოს სასამართლოების მიერ დადგენილი პრაქტიკის განხილვა და ანალიზი.

iv. თემის სტრუქტურა

ნაშრომი დაყოფილია რვა ძირითადად ნაწილად, რომლებიც თავის მხრივ იყოფა ცალკე ნაწილებად.

პირველი ნაწილი ეთმობა შესავალს, სადაც განხილულია თემის აქტუალურობა, კვლევის ფარგლები,მეთოდი და თემის სტრუქტურა.

ნაშრომის მეორე ნაწილი მოიცავს იმ ძირითადად როლს, რაც ხელშეკრულებას აკისრია თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში. სამართლისა და ეკონომიკის მიმართებაზე და ხელშეკრულების მნიშვნელობაზე ამ ურთიერთობებში. მსჯელობა განვითარებულია, სახელშეკრულებო სამართლის ფუძემდებლურ - ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპთან მიმართებით.

მესამე ნაწილი იწყება ხელშეკრულების დადების ფორმის მიხედვით ცალკეული ხელშეკრულების სახეების ზოგადი დახასიათებით. განხილულია როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება. წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებასთან მიმართებით განხილულია ოფერტის, აქცეპტის, ხელშეკრულების დადების დროისა და ადგილის საკითხები, ასევე გამოსაყენებელი სამართლის საკითხის ზოგადი მიმოხილვა ნაშრომის საგანთან მიმართებით. მეოთხე ნაწილი წარმოადგენს მესამე ნაწილის აზრობრივ გაგრძელებას, რადგან იგი მოიცავს უშუალოდ ელექტრონულად დადებული - როგორც მარტივი წერილობითი

[7] ერქვანია თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა, მართლმსაჯულება და კანონი N3(30). თბილისი 2011. 45

ფორმით დადებული ხელშეკრულების შესახებ საკითხს. მეოთხე ნაწილი იწყება ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების ზოგადი დახასიათებით, ხოლო შემდგომ განხილულია ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების ორი სახე - ელექტრონული ფოსტისა და ვებ-გვერდის საშუალებით დადებული ხელშეკრულება.

ნაშრომის მეხუთე ნაწილი მოიცავს საკითხებს ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებით. განხილულია მისი მნიშვნელობა თანამედროვე ეკონომიკურ სივრცეში და მისი ადგილი როგორც ევროკავშირის, ისე ქართულ საკანონმდებლო სისტემაში.

მეექვსე და მეშვიდე ნაწილები მოიცავენ საერთაშორისო შეთანხმებებითა და საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებულ საკითხებს ელექტრონულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ პრობლემებს და შედარებით-სამართლებრივ ანალიზსს. ნაშრომში შესაბამის საკითხთან მიმართებით მოცემულია ქართული სასამართლოების პრაქტიკა და არსებული ტენდენციები მისი განვითარების კუთხით.

მერვე ნაწილი კი წარმოადგენს დასკვნას და იგი იძლევა ნაშრომში განვითარებული მსჯელობის შეჯამების შესაძლებლობას. დასკვნაში მოცემულია ის ქმედებები, რაც შეიძლება განხორციელდეს ქართული კანონმდებლობის დასახვეწად და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დასაახლოებლად.

II. ხელშეკრულების როლი თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში

1. სამართალი და ეკონიმიკა

სახელშეკრულებო სამართლის ინსტიტუტის როლი თანამედროვე ეპოქაში სოციალური პირობების ცვლილებასთან ერთად განვითარდა. აღნიშნულის საფუძველზე წარმოიშვა ხელშეკრულებათა გარკვეული სახეები, რომლებმაც საზოგადოებისათვისაც მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინეს და რომლებმაც, უპირველეს ყოვლისა, ასახვა კაპიტალისტურ ქვეყნებში პოვეს - ხელშეკრულების თავისუფლების მოქმედებას უფრო მეტი გაქანება და ფარგლები სწორედ ეკონომიკური განვითარების შედეგად მიენიჭა. ეკონომიკური განვითარებისთვის კი ამომავალი წერტილი თავისუფლება გახდა, რომელში ჩარევის საფუძვლებიც მაქსიმალურად შევიწროვდა. ასეთმა გადანაწილებამ ხელშეკრულების თავისუფლება არა მხოლოდ როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი გახადა

მნიშვნელოვანი, არამედ მას რიგ შემთხვევებში სოციალური ფუნქციის მატარებლის როლიც მიანიჭა.[8]

ეკონომიკური ურთიერთობების დახვეწამ, რაც განპირობებულია ადაპტირებით დროსთან და ტექნოლოგიებთან, რომლებიც ყოველდღიურად უფრო სასარგებლო სახეს იძენს, ხელშეკრულებას მისცა ბიზნესის განვითარებისათვის სასაცოცხლოდ მნიშვნელოვანი მექანიზმის სახე.[9] ხელშეკრულება ეს არის ძირითადი სამართლებრივი ფორმა, რაშიც ეკონომიკური ურთიერთობები პოულობენ გამოხატულებას.[10]

2. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი

ხელშეკრულების თავისუფლების პრინიციპი მნიშვნელოვანი ფუნქციასა და როლს ასრულებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში. თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობები, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, მოიცავს მონაწილეთა მიღებულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობას, კერძოდ, თუ როგორ იქცევიან ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეები გადაწყვეტილების მიღების საჭიროების შემთხვევაში. სწორედ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ხელშეკრულება.[11]

სსკ-ს მიღების შემდეგ, სხვა სამოქალაქოსამართლებრივ ნორმებთან ერთად სასამართლო პრაქტიკაც განვითარდა. შედეგად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობა დაეფუძნა კერძო ავტონომიისა და სახელშეკრულებო სამართლიანობის პრინციპებს. ამდენად, დამოუკიდებელი საქართველოსთვის ხელშეკრულების თავისუფლება სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ბირთვად იქცა.[12] კერძო საკუთრების საწყისთან ერთად ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მთელი სამოქალაქო წესრიგის ქვაკუთხედია.[13]

---

[8] ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი 2017. 57-58

[9] Qerimi I. Electronic Signature and Electronic Contract, Comperative Aspect of Kosovo and Developed Countrie. European Journal of Fomal Sciences and Engineering. 2018. Volume 1, Issue 2. 7

[10] Qerimi I. Electronic Signature and Electronic Contract, Comperative Aspect of Kosovo and Developed Countrie. European Journal of Fomal Sciences and Engineering. 2018. Volume 1, Issue 2. 7

[11] ძლიერიშვილი ზ,. ცერცვაძე გ., რობაქიძე ი.,სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.,სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014, 102

[12] ჯორბენაძე სერგი. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი 2017, 53

[13] ქოჩაშვილი ქ. თავისუფლების შესახებ (მეტასამართლებრივი გააზრება), გამომცემლობა „ბონა კაუზა“. თბილისი 2018, 11

III. ხელშეკრულების ფორმა

1. ზოგადი დახასიათება

სამოქალაქო და საბაზრო ბრუნვის მონაწილენი თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე კისრულობენ ვალდებულებების შესრულებას, ერთმანეთს უთანხმდებიან ან რაიმე ნივთისა თუ უფლების გადაცეაზე, მოქმედების შესრულებასა თუ მისგან თავის შეკავებაზე.

აღნიშნული შეთანხმებები კონკრეტული სახის ურთიერთობის სფეროში ექცევა, კერძოდ, სამართლებრივი ურთიერთობის არეალში, რომელსაც ვალდებულებითი სამართალურთიერთობები ეწოდება. მათი ძალით ურთიერთობის მონაწილე ერთი მხარე ვალდებულია შეასრულოს გარკვეული მოქმედება მეორე მხარის მიმართ. შესრულება შეიძლება გამოიხატოს გარკვეული მოქმედებისგან თავის შეკავებაშიც.[14]

ხელშეკრულება წარმოადგენს მრავალმხრივ გარიგებას. შესაბამისად, ხელშეკრულებაში უნდა მონაწელეობდეს ორი პირი მაინც. მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება კი ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა იყოს.[15]შესაბამისად, სახელშეკრულებო ურთიერთობის დათქმული პირობების თანახმად განვითარების შემთხვევაში წარმოიშობა სწორედ ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც ხელშეკრულების მხარეებმა ისურვეს. [16]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით. ფორმასთან დაკავშირებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილი წესები[17] ხელშეკრულების ფორმაზეც ვრცელდება.[18]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპს, რომელსაც ასევე ფორმის არჩევის თავისუფლების პრინციპს უწოდებენ.[19]

---

[14] ძლიერიშვილი ზ,. ცერცვაძე გ., რობაქიძე ი.,სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.,სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014. 86.

[15] ძლიერიშვილი ზ,. ცერცვაძე გ., რობაქიძე ი.,სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.,სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014. 86.

[16] ძლიერიშვილი ზ,. ცერცვაძე გ., რობაქიძე ი.,სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.,სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014. 87.

[17] ჭანტური და სხვ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 59-ე მუხლი, გვ. 69-71.

[18] ძლიერიშვილი ზ,. ცერცვაძე გ., რობაქიძე ი.,სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.,სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014. 88

[19] ჭანტურია ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა „სამართალი“. თბილისი 2011. 336

პირს, რომელიც დებს გარიგებას, შეუძლია თავისი შეხედულემისამებრ, განსაზღვროს რა საშუალებით უნდა გამოიხატოს მისი შინაგანი ნება, ანუ დამოუკიდებლად აირჩიოს გარიგების ფორმა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც გარიგების ფორმა იმპერატიულად არის დადგენილი კანონით.[20]

ზეპირი და წერილობითი ხელშეკრულების ინსტიტუტი ჯერ კიდევ ქართული სამართლის ისტორიულ ძეგლებში გვხვდება. ზეპირი და წერილობითი ხელშეკრულება, ერთი მხრივ, ხელშეკრულების თავისუფლების პირდაპირი გამოვლინებაა, ხოლო, მეორე მხრივ, ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველს წარმოადგენს.[21]

თანამედროვე პირობებში, გარიგების ფორმის თავისუფლება დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს. კავშირისა და კომუნიკაციის ელექტრონულ საშუალებათა განვითარება, თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვაში, იწვევს მხარეთა შინაგანი ნების გამოვლენის ახალი საშუალების, გარიგების ახალი ფორმის გამოჩენას. მაგალითად, გარიგების დადება ინტერნეტში, ელექტრონული ფოსტისა ან მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით. ნების გამოვლენის მოცემული ფორმა არსებითად განსხვავდება სხვა ცნობილი ნორმატიულად განმტკიცებული ნების გამოვლენის საშუალებისაგან და აქედან გამომდინარე, ითხოვს დამატებით საკანონმდებლო რეგლამენტაციას. თუმცა საკანონმდებლო წესების არარსებობამ, ნების გამოვლენის ახალ საშუალებასთან მიმართებით, არ უნდა შეზღუდოს მისი გამოყენება.[22]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების თავისუფლების ძირითადი მახასიათებელი ნიშანი მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების თავისუფალი ფორმირებაა, რაც მათთვის სასურველი შინაარსის და კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობიდან გამომდინარეობს.[23/24]

2. ზეპირი ფორმით დადებული ხელშეკრულება

შეიძლება ითქვას, რომ გარიგებათა კვალიფიციური უმრავლესობა იდება ზეპირი ფორმით, რაც ხელს უწყობს საქონელბრუნვის ზრდას. [25] ზეპირი ხელშეკრულების დადება ნებისმიერი პირისათვის სამართლებრივი ურთიერთობის დამყარების

[20] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018, 60-61

[21] ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი 2017. 144-145

[22] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 55

[23] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის Nას-1300-1320-2011 განჩინება

[24] ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი 2017. 134

[25] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018, 57

გამარტივებულ გზას წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც მხარეები მაქსიმალურად მოკლე ვადებში ამყარებენ სახელშეკრულებო ურთიერთობებს.[26]

ლიტერატურაში გავრცელებული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ზეპირი ფორმა არ უნდა განეკუთვნებოდეს კანონით განსაზღვრულ ფორმის სახეობებს და ნების გამოვლენა ზეპირად, კონკლუდენტურად თუ დუმილით უნდა ექცეოდეს ფორმის თავისუფლების ფარგლებში.[27]

3. წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება

ზეპირი ხელშეკრულებისგან აბსოლუტურად განსხვავდება წერილობითი ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. ხელშეკრულება შეიძლება წერილობით დაიდოს, თუ მხარეები ჩათვლიან ასეთ ქმედებას საჭიროდ, ან თუ კანონში სავალდებულო სახითაა გაწერილი.[28]

ხელშეკრულების წერილობითი ფორმა კონკრეტულ მიზნებს ემსახურება, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია: მტკიცების, გაფრთხილების, გამიჯვნის და საინფორმაციო მიზანი.[29]

ასევე, შეიძლება გამოიყოს ხელშეკრულების წერილობითი ფორმის შემდეგი ფუნქციები:

- ❖ სიცხადის ფუნქცია[30]/[31] - ნათელს ხდის გარიგების შინაარსს და მასზე დაყრდნობით იძლევა ამა თუ იმ გარემოების მტკიცების შესაძლებლობას.
- ❖ განზრახვის სერიოზულობის/გაფრთხილების ფუნქცია[32] - იცავს ნების გამომვლენ პირს აჩქარებითა და დაუფიქრებლობით გამოწვეული რისკებისაგან.
- ❖ სიცხადისა და მტკიცების ფუნქცია[33] - ნათელს ხდის გარიგების შინაარსს და მასზე დაყრდნობით იძლევა ამა თუ იმ გარემოების მტკიცების შესაძლებლობას.
- ❖ საკონსულტაციო ფუნქცია[34] - გარიგების დადებამდე მხარეებს აძლევს არსებული გარიგების შესახებ კომპეტენტური პირისგან განმარტების მიღების შესაძლებლობას.

---

[26] ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი 2017, 145

[27] დარჯანია თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. მუხლი 69.

[28] ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი 2017. 146

[29] ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებით სამართალი, ზოგადი ნაწილი, მუხლი 329, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001. 110

[30] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018, 117

[31] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018.136-140

[32] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 120-135

[33] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 140-190

- ❖ საინფორმაციო ფუნქცია[35] - გარიგების ფორმა უზრუნველყოფს გარიგების მხარეების ინფორმირებას, რასაც კარგად ასრულებს წერილობითი ფორმა.
- ❖ კონტროლის ფუნქცია[36] - გარიგების ფორმა შესაძლებელს ხდის სახელმწიფო ორგანოს/საჯარო დაწესებულების ზედამხედველობას.
- ❖ იდენტიფიკაციის ფუნქცია[37] - დოკუმენტზე ხელმოწერა ცხადყოფს, თუ ვისგან მოდის ესა თუ ის დოკუმენტი
- ❖ აღსრულების ფუნქცია[38] - წერილობითი დოკუმენტის შემთხვევაში, აღსრულების საკითხი ბევრად გამარტივებულ სახეს იღებს.
- ❖ ხანგრძლივობის ფუნქცია [39] - წერილობითი ფორმა ახდენს გამოვლენილი ნების დოკუმენტირებას და უზრუნველყოფს დოკუმენტზე ასახული ხელმოწერისა და ტექსტის ხანგრძლივად აღქმას, გადაცემასა და გადამოწმებას.

ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულება წერილობით დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი სახეა, კერძოდ, იგი პასუხობს მარტივი წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების პირობებს[40].

3.1 ოფერტი, წერილობითი ფორმით ხელშეკრულების დადებისას

როგორც სახელშეკრულებო სამართლის თეორიაში, ასევე პრაქტიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ მომენტის დადგენას, როდესაც ხელშეკრულება ითვლება დადებულად. ხელშეკრულების დადების მომენტად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მიიჩნევს მომენტს, როდესაც მხარეები ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე თანხმდებიან.[41]

ოფერტი არის ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარისაგან მის მიღებას. ოფერტი არის ნების გამოვლენა გარიგების დასადებად და სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს მხოლოდ მაშინ, როცა

---

[34] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 190-229

[35] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 229-233

[36] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 233

[37] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 234

[38] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 236

[39] ბუაძე ქ. ტექსტური ფორმა ელექტრონული ფორმით დადებულ გარიგებებში. თბილისი. 2012. 5-6

[40] დარჯანია თ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი I, მუხ.1-146. თბილისი 2017. 404

[41] ჭეჭელაშვილი ზ, სახელშეკრულები სამართალი. თბილისი 2014. 63

მეორე მხარე - აქცეპტანტი ამ ნებას მიიღებს და დათანხმდება ხელშეკრულების დადებაზე. [42]

ზოგადი წესის თანახმად, იმისათვის რომ დადასტურდეს ნამდვილად იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულების არსებობა საჭიროა დადგინდეს შემდეგი ელემენტების არსებობა:

1. სახეზე უნდა იყოს ნამდვილი ოფერტი ერთი მხარის მიერ მეორე მხარისადმი;
2. ოფერტი უნდა იქნეს მიღებული მეორე მხარის ან მხარეების მიერ;
3. არსებობდეს ყველა მხარის ნება დადონ გარიგება;
4. ხელშეკრულების ფარგლებში გაკეთებული დათქმები უნდა იყოს ღირებულების მქონე;
5. ხელშეკრულების პირობები მკაფიოდ/ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული.[43]

ოფერტის სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხი უნდა გაშუქდეს იმ ნორმათა ჭრილში, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რომელი მომენტიდან წარმოშობს ოფერტი იურიდიულ შედეგებს ხელშეკრულების დადების პროცესში მონაწილე მხარეთათვის. აღნიშნული ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მასთანაა დაკავშირებული ოფერენტის ბოჭვა. [44]

ძალიან მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს ორი, ერთმანეთთან ახლოს მდგომი ინსტიტუტი — ოფერტი და მოწვევა ოფერტზე. თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი ნიშნების გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა მათი არასწორი კვალიფიკაცია გამოიწვიოს. [45]

ბოჭვის ნება ეს არის გამიჯვნის მთავარი კრიტერიუმი, რითაც ოფერტი განსხვავდება ოფერტზე მოწვევისაგან. ცალკეულ შემთხვევებში გამიჯვნა განმარტების საკითხია, რაც დგინდება ადრესატის მიერ ქმედების განმარტების ობიექტური შესაძლებლობით.

მოწვევა ოფერტზე, ჩვეულებრივ, ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ის ყოველთვის მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, შესაძლოა შეიცავდეს ალტერნატიულ წინადადებებსაც, რომლებიც შესაძლოა არც იყოს კონკრეტიზირებული, მის პირობებს არ აქვს იმპერატიული ხასიათი, ადრესატს შეუძლია სხვა პირობების შეთავაზებაც, არ ბოჭავს მოწვევის გამკეთებელს.[46]

---

[42] ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებით სამართალი, ზოგადი ნაწილი, მუხლი 329, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001. 119

[43] Christensen S. Formation of Contracts by Email – Is it just the Same as the Past? Queensland University of Technology Law & Justice Journal 2001. 2

[44] ბაღიშვილი ე., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. მუხლი 330.

[45] ბაღიშვილი ე., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. მუხლი 329

[46] ბაღიშვილი ე., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. მუხლი 329

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ რეკლამა, ასევე ნებისმიერი სხვა წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი ეს არის მოწვევა ოფერტზე. [47] აღნიშნული პოზიცია განსაკუთრებით მხარდაჭერილია გერმანულ სამართლებრივ სისტემაში.[48] აღნიშნული პოზიციის თანახმად, წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი ანუ მას არ ჰყავს კონკრეტული ადრესატი და გაკეთებულია ისეთ პირობებში, რომ შეუძლია გამოიწვიოს განუსაზღვრელი რაოდენობის გამოხმაურება, არ აკისრებს რაიმე პასუხისმგებლობას იმ პირს, რომელმაც ის გააკეთა - ასეთ მოწვევას შესაძლოა მოჰყვეს სახვადასხვაგვარი გამოხმაურებები, რაც არ ჩაითვლება აქცეპტად. ხელშეკრულების დადება დამოკიდებულია მომწვევზე, ანუ ის ხდება ასეთ შემთხვევაში აქცეპტანტი.[49] ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე პირობებში, რადგან სარეკლამო განცხადებები ინტენსიურად არის გამოყენებული სხვადასხვა კომპანიების მიერ. ინტერნეტსივრცე წარმოადგენს უდიდეს სარეკლამო სფეროს.

3.2 აქცეპტი, წერილობითი ფორმით ხელშეკრულების დადებისას

აქცეპტი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა, რომელიც ნამდვილია აქცეპტის ადრესატთან (ოფერენტთან) მისვლის მომენტში. სწორედ, ამ მომენტში იდება მხარეებს შორის ხელშეკრულება და ისინი იბოჭებიან ნაკისრი ვალდებულებებით. ამ მომენტს უკავშირებენ ხელშეკრულების დადებას კერძო სამართლის უნიფიკაციის აქტებიც. მაგ. საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ გაეროს კონვეციის 23-ე მუხლი უთითებს, რომ "ხელშეკრულება დადებულად ითვლება იმ მომენტში, როდესაც ოფერტის აქცეპტი შედის ძალაში, ხოლო 18 II მუხლის თანახმად, ოფერტის აქცეპტი შედის ძალაში, როდესაც ის მიღებულია ოფერენტის მიერ.[50]

უნიდროას პრინციპები პირდაპირ უთითებს, რომ ოფერტში აქცეპტის განხორციელებისთვის მითითებული ვადა დენას იწყებს ოფერტის გაგზავნის მომენტიდან. გაგზავნის მომენტად კი მიიჩნევა თარიღი (დრო), რომელიც მითითებულია ოფერტში, თუ გარემოებები სხვა რამეზე არ უთითებენ.[51]

აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, ვადის დენა ათვლას იწყებს იმ მომენტში, როდესაც ოფერტი ტოვებს ოფერენტის გავლენის სფეროს. მოქმედებს პრეზუმფცია,

---

[47] ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებით სამართალი, ზოგადი ნაწილი, მუხლი 329, გამომცემლობა „სამართალი", თბილისი 2001. 123-125.

[48] Markesinis/Lorenz/Dannemann, The German Law of Obligations: The Law of Contracts and Restitution : A Comparative Introduction, 1997. 43.

[49] ბაღიშვილი ე., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. მუხლი 329

[50] United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1980. www.jus.uio.no/lm/un.contracts.international.sale.goods.convention.1980/doc.html

[51] იხ. პრინციპების 2.1.8 მუხლი, Unidroit Principles of International Commercial Contracts with Official Commentary (1994).

რომ გაგზავნის მომენტი არის ოფერტში მითითებული თარიღი. მაგ. ელექტრონული მიმოწერისას - ოფერენტის სერვერის მიერ მითითებული გაგზავნის დრო.[52]

3.3 ხელშეკრულების დადების დრო

ხელშეკრულების დადების მომენტისა და ადგილის სწორად განსაზღვრა არათუ ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებულ, არამედ თანმყოფ პირებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დროსაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხია.[53]

ხელშეკრულების დადების მომენტიდან მხარეები შებოჭილნი არიან და შესაბამისი საფუძვლის არსებობის გარეშე არ აქვთ მასზე უარის თქმის ან გასვლის შესაძლებლობა. [54]

მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმებად ითვლება მათ შორის ელექტრონული კომუნიკაციის გზით ინფორმაციის გაცვლა. ინფორმაციის გაცვლის შემდგომ, სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის თაობაზე, მხარის მიერ ნების არათანმყოფი პირების მიერ ხელშეკრულების დადების ნების გამოვლენად ითვლება, ერთი მხრივ, ოფერტზე მოწვევა, ხოლო მეორე მხრივ, ოფერტის მიღება და აქცეპტის გაკეთება. ხელშეკრულების დადების მომენტის სწორად განსაზღვრას იმ მიზეზითაც აქვს არსებითი მნიშვნელობა, რომ სწორედ ამ მომენტიდან ხდება მფლობელობისა და რისკის ერთიდან მეორე მხარისათვის გადაცემა. [55]

„ხელშეკრულების დადებისას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენების შესახებ“ გაეროს კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ინფორმაციის მიღების დროდ ითვლება დრო, როდესაც ადრესატს აქვს შესაძლებლობა, მის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე მოიძიოს გამოგზავნილი ინფორმაცია. ელექტრონული შეტყობინება ადრესატის მიერ მიღებულად ივარაუდება, მაშინ, როდესაც ინფორმაციამ მიაღწია ადრესატის ელექტრონულ მისამართზე.[56]

---

[52] Unidroit Principles of International Commercial Contracts. Official Comments. http://www.unilex.info/dynasite.cfm?dssid=2377&dsmid=109294 (ბოლო გამოხმობა: 22.08.16).

[53] ფაჩუაშვილი ნ,. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. სამართლის ჟურნალი N2, 2017. 108-109

[54] ფაჩუაშვილი ნ,.ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. სამართლის ჟურნალი N2, 2017. 108-109

[55] ფაჩუაშვილი ნ,. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. სამართლის ჟურნალი N2, 2017. 108-109

[56] ფაჩუაშვილი ნ,. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. სამართლის ჟურნალი N2, 2017. 108-109

ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ხელშეკრულების დადების სპეციფიკიდან გამომდინარე, აქცეპტის გაგზავნისა და მიღების დრო არ ემთხვევა ერთმანეთს. ელექტრონული საშუალების გამოყენებით ოფერტის გაგზავნას და ადრესატამდე მისვლას იმაზე მეტი დრო სჭირდება, ვიდრე თანმყოფ პირებს შორის შემდგარი მოლაპარაკებისას გაკეთებულ ოფერტს. ტექნიკური თვალსაზრისით, შესაძლოა, აღინიშნოს, რომ ელექტრონული ფოსტის გაგზავნასა და მის ადრესატამდე მისვლას სულ რამდენიმე წუთი სჭირდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აქცეპტი ადრესატის მიერ მიღებულ იქნა. თუ, მაგალითად, მხარეთა მიერ ოფერტისა და აქცეპტის გაკეთება ხდება ელექტრონული ფოსტის გამოყენებით, შესაძლოა, პირმა ფოსტა, თუნდაც სხვა დროის სარტყელში ყოფნის გამო, მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ შეამოწმოს. სწორედ ამიტომ აღინიშნა, რომ ინფორმაცია მიღებულად ითვლება არა მაშინ, როდესაც მოხდა მისი გაგზავნა, არამედ, როდესაც ადრესატს მიეცა შესაძლებლობა, მის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე მოეძიებინა გამოგზავნილი ინფორმაცია. [57]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ხელშეკრულების დადების მომენტად ითვლება არა მხარის მიერ აქცეპტის გაკეთების, არამედ კრედიტორის მიერ მისი მიღების მომენტი. სწორედ ამას განამტკიცებს „საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ გაეროს კონვენციის მე-18 მუხლის მეორე პუნქტი, რომლის თანახმადაც, ოფერტზე გაკეთებული აქცეპტი ეფექტური ხდება იმ მომენტში, როდესაც თანხმობა მიაღწევს ოფერენტამდე.[58]

ოფერტი და აქცეპტის წესების გვიჩვენებს არა მხოლოდ იმას, თუ როგორ დაიდო ხელშეკრულება, არამედ ასევე იმასაც თუ როდის და სად დაიდო იგი. [59] დადების დრო შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს იმის დასადგენად შეტყობინებით მიეწოდა თუ არა მხარეს ინფორმაცია ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე წინასწარ, ასევე ხელშეკრულების შესრულების კუთხით, როცა მისი ვადა ხელოწერიდან აითვლება. ამასთან, ხელშეკრულების დადების ადგილი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს იურისდიქციის განსაზღვრის კუთხით გარკვეულ შემთხვევებში.[60]

---

[57] ფაჩუაშვილი ნ,. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. სამართლის ჟურნალი N2, 2017. 108-109

[58] ფაჩუაშვილი ნ,. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. სამართლის ჟურნალი N2, 2017. 108-109

[59] Burrows A./Pell E. Contract Formation and Parties. The Oxford-Norton Law Colloquium.Oxford University Press.2010. Page 61

[60] Burrows A./Pell E. Contract Formation and Parties. The Oxford-Norton Law Colloquium.Oxford University Press.2010. Page 62

3.4 ხელშეკრულების დადების ადგილი

როგორც აღინიშნა, ელექტრონული საშუალებით ხელშეკრულების დადების მთავარი მახასიათებელი გახლავთ ის, რომ არ ხდება მხარეთა ფიზიკური შეხვედრა. ეს, ერთი მხრივ, გამოწვეულია დროის ეკონომიის მიზნით, თუმცა ამგვარი ხელშეკრულების დადების არსი გახლავთ სწორედ ის, რომ მხარეთა ადგილსამყოფელი ხელშეკრულების დადების მომენტში არ ემთხვევა ერთმანეთს.

მარტივია ხელშეკრულების დადების ადგილისა და გამოსაყენებელი კანონმდებლობის განსაზღვრა, მაშინ, როდესაც ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადება ხდება ქვეყნის შიგნით. თუმცა მაშინ, როდესაც საუბარია საერთაშორისო ვაჭრობაზე, ცხადია, იგულისხმება სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ მხარეებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობები. ასეთ შემთხვევაში ყურადსაღებია შემდეგი გარემოებები:

- რომელი ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენება ხდება ხელშეკრულების დადებისას;
- მიიჩნევს თუ არა ხელშეკრულებას ძალაში მყოფად მომხმარებლის ან მეწარმის ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობა;

ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში ან ოფერენტის მიერ უნდა იქნეს მითითებული, თუ რომელი ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენება ხდება, ან აქცეპტანტს უნდა მიეცეს არჩევანის შესაძლებლობა.[61]

შედარებით რთულია საკითხის დარეგულირება, მაშინ, როდესაც მხარეები არ შეთანხმებულან ზემოხსენებულ საკითხზე. ამ შემთხვევას ეხება რომის კონვენციის მე-4 მუხლი, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუ არ მომხდარა გამოსაყენებელი სამართლის არჩევა, კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების რეგულაციისათვის გამოიყენება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომელთანაც მხარე ყველაზე ახლო კავშირშია. „ყველაზე ახლო კავშირში მყოფში“ – ეს ეხება მხარეს, რომელიც ვალდებულია, შეასრულოს გარკვეული ქმედება (მაგ., გადაიხადოს საფასური) და ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მუდმივად ცხოვრობს ამ ქვეყანაში.[62]

---

[61] ფაჩუაშვილი ნ,. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. სამართლის ჟურნალი N2, 2017, 109-110

[62] ფაჩუაშვილი ნ,. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. სამართლის ჟურნალი N2, 2017. 109-110

3.5 გამოსაყენებელი სამართალი

ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული აქტივობები და დადებული გარიგებები, როგორც წესი, არის საერთაშორისო ხასიათის, რადგან ურთიერთობაში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ქვეყანისაში მცხოვრები პირები და სხვადასხვა ქვეყანაში რეზიდენციის მქონე იურიდიული პირები. შესაბამისად, პირველი შეკითხვა, რომელიც დავის წარმოშობის შემთხვევაში ისმის, არის ის თუ რომელი ქვეყნის სასამართლოებმა უნდა განიხილონ დავა და რომელი ქვეყნის სამართლით უნდა დარეგულირდეს მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო ურთიერთობები.[63]

რამდენადაც მარტივი და მოსახერხებელია ინტერნეტის საშუალებით ვაჭრობა, იმდენად რთული და კომპლექსურია მხარეთა შორის წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად გამოსაყენებელი სამართლის არჩევა და მისი გადაჭრა.[64] იმისთვის, რომ აღნიშნულმა ფაქტობრივმა თანაბრობამ იურიდიული ძალა შეიძინოს, საჭიროა ნორმატიული საფუძველი. [65]

იურისდიქცია გულისხმობს იმის განსაზღვრას, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს დავა. იურისდიქციისა და გამოსაყენებელი სამართლის არჩევა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი საკითხია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახეზეა ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება. [66]

დღეისათვის არ არსებობს არც მოდელური კანონები და არც კონვენციები, რომლებიც სპეციფიკურად შეეხება კონკრეტულად ინტერნეტიურისდიქციას. არც გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის ელექტრონული ვაჭრობის შესახებ მოდელური კანონი და არც გაეროს კონვენცია „საერთაშორისო ხელშეკრულებებში ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენების შესახებ“, არაფერს ამბობს იურისდიქციის შესახებ, თუმცა იძლევა მხარეთა ადგილმსაყოფელის შესახებ ინფორმაციას, რაც შესაძლოა, დაგვეხმაროს იურისდიქციისა და გამოსაყენებელი სამართლის არჩევის საკითხის გადაჭრაში. [67]

დისტანციურ, ინტერნეტით შემდგარ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, საყურადღებოა, რომელი ქვეყნის სამართლით უნდა გადაწყდეს ხელშეკრულების ფორმასთან შესაბამისობა. გამოსაყენებელი სამართლის შესახებ რეგულაციის (Rome

---

[63] ტაბატაძე დ., გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრა ელექტრონული ხელშეკრულებით, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი, 77

[64] ფაჩუაშვილი ნ,. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. სამართლის ჟურნალი N2, 2017. 110

[65]ტაბატაძე დ., გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრა ელექტრონული ხელშეკრულებით, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი, 77

[66] ტაბატაძე დ., გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრა ელექტრონული ხელშეკრულებით, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი, 78

[67] ტაბატაძე დ., გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრა ელექტრონული ხელშეკრულებით, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი, 78

I) მე-11 მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულება დადებულია მხარეთა შორის ერთსა და იმავე ქვეყანაში, მაშინ ფორმასთან შესაბამისობა დარეგულირდება მხარეთა მიერ შეთანხმებული გამოსაყენებელი სამართლით ან იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ხელშეკრულება დაიდო (Lexlocicontractus). ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება იდება სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს შორის, ხელშეკრულების ფორმა ჩაითვლება დაცულად იმ ქვეყნის სამართლის შესაბამისად, რომლითაც რეგულირდება ხელშეკრულება, იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ერთ-ერთი მხარე (ან წარმომადგენელი) იმყოფება, ან ერთ-ერთი მხარეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. [68]

სკს-ს 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარიგების ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც დაიდო ეს გარიგება ან იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოიყენება გარიგების საგნის მიმართ. გარიგების ფორმა დაცულად ითვლება, თუ ხელშეკრულება დაიდო სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ პირებს შორის და იგი შეესაბამება ერთ-ერთი ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს გარიგების ფორმის შესახებ. სკს არ ადგენს გამოსაყენებელი სამართლისთვის საჭირო სავალდებულო ფორმას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო დავა ქართული კანონმდებლობით უნდა გადაწყდეს, გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა შესაძლებელია, როგორც ზეპირი ისე წერილობითი ან ტექსტური ფორმით. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფორმის დაცვის მოთხოვნა არ არსებობს მათ შორის მომხმარებელსა და პროფესიონალ სერვისის ან საქონლის მიმწოდებელ პირს შორის დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, რაც ნიშნავს, იმას რომ მომხმარებელთან დადებული ელექტრონული ხელშეკრულებით ნებისმიერი ქვეყნის სამართლის არჩევა ჩაითვლება ნამდვილად.[69]

მას შემდეგ, რაც მოხდება იურისდიქციის საკითხის გადაწყვეტა, სასამართლოს წინაშე დგება სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი – რომელი ქვეყნის კანონმდებლობა უნდა იქნეს გამოყენებული დავის გადასაწყვეტად. ვინაიდან ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულება იდება სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებთა (კომპანიების) მიერ, შესაძლოა, საჭირო გახდეს ორი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენებაც. ბუნებრივია, ხელშეკრულების ორივე მხარეს სურს, დავა გადაწყდეს მისთვის ნაცნობი, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, შესაბამისად, უნდა მოხდეს მათი ინტერესების დაბალანსება; ამ სირთულის თავიდან ასაცილებლად ასევე სასურველი იქნება, თუ მხარეები წინასწარ შეთანხმდებიან, რომელმა სასამართლომ რომელი ქვეყნის კანონმდებლობით

[68] ტაბატაძე დ., გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრა ელექტრონული ხელშეკრულებით, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი, 78
[69] ტაბატაძე დ., გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრა ელექტრონული ხელშეკრულებით, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი, 78

იხელმძღვანელოს დავის გადასაწყვეტად; თუმცა ასეთის არარსებობისას თავად სასამართლომ უნდა განსაზღვროს ყველაზე შესაბამისი კანონი. [70]

ელექტრონული ვაჭრობისას გამოსაყენებელი კანონმდებლობის არჩევის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა ადგილსამყოფელს, როგორც ხელშეკრულების დადების, ისე წინარე პერიოდში; სპეციფიკურად ელექტრონული საშუალებით მეწარმეთა შორის (B2B) ან მეწარმესა და მომხმარებელს (B2C) შორის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ არ არსებობს საერთაშორისო რეგულაცია. შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულების მომხმარებელთა დაცვის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა არ შეიცავს არანაირ დათქმას გამოსაყენებელი სამართლის შესახებ, თუმცა პრაქტიკაში დამკვიდრებულია „წარმოშობის ქვეყნის“ პრინციპი, რაშიც მოიაზრება სერვისის მიმწოდებლის წარმოშობის ქვეყანა. ეს პრინციპი შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს ხელშეკრულებაში მითითება არ აქვთ გაკეთებული არც საერთაშორისო და არც ეროვნულ კანონმდებლობაზე.[71]

3.6 ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულება

3.6.1. ელექტრონული ხელშეკრულების დეფინიცია

ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების საკანონმდებლო რეგულაცია 1997 წლის 20 მაისიდან იღებს სათავეს, კერძოდ ევროპარლამენტისა და საბჭოს „შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულების მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ 97/7 დირექტივის ძალაში შესვლის მომენტიდან.[72]

ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადებისას გარიგების მონაწილე ხელშეკრულების ტექსტს ეცნობა ელექტრონული დოკუმენტის საშუალებით. [73] ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადება დღეისათვის ყველასთვის კარგად ნაცნობი და მოსახერხებელი გზაა სხვადასხვა სახის ხელშეკრულების დასადებად. [74]

---

[70] ფაჩუაშვილი ნ,. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. სამართლის ჟურნალი N2, 2017. 110-112

[71] ფაჩუაშვილი ნ,. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. სამართლის ჟურნალი N2, 2017. 110-112

[72] ფაჩუაშვილი ნ. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, სამართლის ჟურნალი N2, 2017. 102

[73] ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი 2017. 148

[74] ფაჩუაშვილი ნ,. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. სამართლის ჟურნალი N2, 2017. 103

მიუხედავად იმისა, რომ ცნება „ელექტრონული გარიგება“ იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება, მისი ლეგალური, ერთმნიშვნელოვანი კანონისმიერი დეფინიცია არ არსებობს. კვლევაში განხილულ „ელექტრონულ გარიგებებში“ მოიაზრება ხელშეკრულებები, რომლებიც იდება ელექტრონული ფორმით, კერძოდ, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით. [75] ხელშეკრულების დადება ვირტუალურ სივრცეში საერთო ჯამში მსგავსია რეალურ სამყაროში ხელშეკრულების დადების,[76] არ არსებობს პრინციპული სხვაობა ამ ორ სივრცეს შორის.

ელექტრონული ფორმა ევროპული კავშირის სახელმწიფოებში ერთგვაროვანი მიდგომის დამკვიდრების მიზნით შემუშავებული დირექტივების მეშვეობით ჩამოყალიბდა („ელექტრონული ხელმოწერებისა“ და „ელექტრონული გარიგებების შესახებ“). ეს ფორმა როგორც წესი ენაცვლება წერილობით ფორმას, თუ საპირისპირო არ არის კანონმდებლის უშუალო ნება.[77]

ტრადიციული ქაღალდის დოკუმენტებისათვის წაყენებული იურიდიული მოთხოვნების დაძლევა შესაძლებელია მოქნილი ფუნქციურ-ეკვივალენტური მიდგომით, რომელიც ეფუძნება ქაღალდზე დოკუმენტების შედგენისათვის წაყენებული იურიდიული მოთხოვნების მიზნებისა და ფუნქციების ანალიზს, რათა დადგინდეს, ეს მიზნები და ფუნქციები როგორ უნდა იქნეს მიღწეული ან შესრულებული საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩარჩოებში.[78]

3.6.2. ოფერტი და აქცეპტი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ხელშეკრულების დადებისას

ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია ორი თანამთხვევადი ნების გამოვლენა - ოფერტისა და აქცეპტის - არსებობა.[79] ოფერტის და აქცეპტის მეშვეობით ხელშეკრულების დადება არის სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის ჩვეულებრივი მოდელი.[80] მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რამდენად შეესაბამება

---

[75] ერქვანია თ. მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა. მართლმსაჯულება და კანონი N3(30). თბილისი 2011. 49

[76] Majidnia A. The study of rules and process of electronic contracts. Bulletin of the Georgian National Academy of sciences. 8.No2,2014. 455

[77] კერესელიძე დ. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი 2009. 294

[78] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 114

[79] Gisler Michael/Stanoevska-Slabeva Katarina/Greunz Marcus. Legal Aspects of Electronic Contracts. Infrastructures for Dynamic Business-to-Business Service Outsourcing (IDSO'00) Stockholm, 5 - 6 June 2000. 2-4

[80] Lando/Beale (eds.), Principles of European Contract Law, Parts I and II (Combined and Revised), prepared by the Commission of European Contract Law, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000. 161.

აღნიშნული მოდელი ელექტრონული ფორმით კომუნიკაციისას დამყარებულ ურთიერთობებს.

გარიგებები და ტრანზაქციები, რომელთაც აყალიბებს ან რომლითაც იწყება სახელშეკრულებო მოლაპარაკებები არ არიან შებოჭილი მხოლოდ წერილობითი მნიშვნელობით. ოფერტი და აქცეპტი ისევე ვრცელდება ახალ ტექნოლოგიებზე, როგორც ვრცელდება ძველ მეთოდებზე. [81]

ამასთან, სადავო არ არის, რომ ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად აუცილებელია ოფერტისა და აქცეპტის მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, რათა არ წამოიქმნას სიძნელეები და მხარეებმა შეძლონ მისი შემდგომი გამოყენება ეფექტურად მომავალშიც.[82]/[83]

IV. ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების სახეები

1. ზოგადი დახასიათება

ბოლო წლებში დიდი გავრცელება ჰპოვა ინტერნეტის გამოყენებით ხელშეკრულებების დადების პრაქტიკამ ე.წ. ელექტრონულმა ვაჭრობამ (E-Commerce) მოიცვა სამოქალაქო ბრუნვის თითქმის ყველა სფერო. როგორც აღვნიშნე, აღიარებული შეხედულების თანახმად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება სრულად პასუხობს გარიგების მარტივი წერილობითი ფორმისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. [84]

ელექტრონული ხელშეკრულება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ზრდას. იგი ეხმარება ქვეყნებს გაუმჯობესონ ვაჭრობის ეფექტურობის დონე და მოახდინონ განვითარებადი ქვეყნების მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირება.[85]

ხელშეკრულების დასადებად ელექტრონული საშუალების გამოყენებაში მოიაზრება ინფორმაციის გაცვლისათვის ინტერნეტის, ტელეფონის, ფაქსის, ტელეგრამის,

---

[81] Wright C. Electronic Contracting In An Insecure World. SANS Institute 2008. 4

[82] Burrows A./Pell E. Contract Formation and Parties. The Oxford-Norton Law Colloquium.Oxford University Press.2010. 61

[83] ოფერტისა და აქცეპტის პრაქტიკული გამოყენების საკითხებზე დეტალურად იხილეთ ელექტრონული ფოსტისა და ვებ-გვერდის საშუალებით ელექტრონული ხელშეკრულების დადების ნაწილი.

[84] ჭანტურია ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა „სამართალი". თბილისი 2011. 348

[85] Qerimi I. Electronic Signature and Electronic Contract. Comperative Aspect of Kosovo and Developed Countries. European Journal of Fomal Sciences and Engineering. 2018. Volume 1, Issue 2. 7

ტელესკოპის ან სხვა მსგავსი ელექტრონული, მაგნიტური ან მსგავსი საშუალების გამოყენება.[86]

საერთაშორისო სავაჭრო პალატა ელექტრონულად დადებულ ხელშეკრულებას განმარტავს როგორც მხარეების კომპიუტერების მეშვეობით ქსელურად ან ელექტრონული გზავნილების საშუალებით ხელშეკრულების დადების ავტომატურ პროცესს. არსებობს ხელშეკრულების დადების სამი ფორმა: ყველაზე გავრცელებულია ხელშეკრულების დადება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ელექტრონული ფოსტა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ოფერტის, ასევე აქცეპტის გასაგზავნად. ელექტრონულად დადებული ხელშეკრულების მეორე სახეა მსოფლიო ქსელის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებები. ასეთ შემთხვევაში მეწარმე თავის ვებ-გვერდზე მიუთითებს საქონლის კატალოგს და ინფორმაციას მისი მახასიათებლებისა და ღირებულების შესახებ. მომხმარებელი ვებ-გვერდის დათვალიერების შედეგად ირჩევს მისთვის სასურველ საქონელს და ხელშეკრულების პირობებზე დათანხმებით ყიდულობს მას. ელექტრონული კომერციის მესამე ფორმაა ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა პირობებიც მეწარმეთა ვებ-გვერდზე მოცემულია დამაკავშირებელი ბმულის მეშვეობით ე.წ. გადამამისამართებელი ხელშეკრულებები. მათი თავისებულება ისაა, რომ მომხმარებელს უწევს რამდენიმე კომპლექსური ანდა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ხელშეკრულების პირობებზე დათანხმება სასურველი საქონლის ყიდვის მიზნით.[87] ბოლო ორი კატეგორია შეიძლება გავაერთიანოთ ერთი - ვებ-გვერდის საშუალებით დადებული ხელშეკრულების ქვეშ. [88]

ინტერნეტხელშეკრულება პრაქტიკაში რამდენიმე სახითაა წარმოდგენილი. თითოეული მათგანი სამოქალაქო კოდექსში, თავისი არსიდან გამომდინარე, ცალკე არაა მოწესრიგებული. იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი შეთანხმებაც კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს, მასზე სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების ზოგადი წესები ვრცელდება. აღნიშნულის საფუძველს იძლევა ის, რომ ინტერნეტში დადებული ხელშეკრულება ჩვეულებრივი სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების სახეს წარმოადგენს.[89]

---

[86]ფაჩუაშვილი ნ,. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. სამართლის ჟურნალი N2, 2017. 104

[87] ლაკერბაია თ., დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული მოდელი ხელშეკრულების უარყოფის უფლების მაგალითზე, სამართლის ჟურნალი N1, 2016 წ. 93

[88] Burrows A./Pell E. Contract Formation and Parties. The Oxford-Norton Law Colloquium.Oxford University Press.2010. 79

[89] ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი 2017. 152-153

2. ელექტრონული ფოსტის საშუალებით დადებული ხელშეკრულება

2.1.ელექტრონული ფოსტა

ელექტრონული ფოსტა წარმოადგენს წერილის ციფრულ ანალოგს. ელექტრონულ წერილს შეუძლია ყველა ის ფუნქცია შეასრულოს, რასაც ასრულებს რეალური წერილი. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეთავაზებისათვის ან თანხმობისათვის. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეკლამისათვის. ელექტრონული მეილი იგზავნება და მიიღება ისევე როგორც რეალური მეილი. გამგზავნი ათავსებს მას გასაგზავნ ყუთში, საფოსტო ყუთის ფიცრული ანალოგი, და იგი შემდეგ გროვდება მეილის სერვერის მიერ, რომელიც აგზავნის მას მიმღების მეილზე, სადაც იგი ხვდება მიმღებ ყუთში, რაც არის წერილების ყუთის ციფრული ანალოგი.[90]

ელექტრონული ფოსტა მატერიალური ფორმის წერილის ელექტრონული ეკვივალენტია. მიუხედავად მისი სისწრაფისა, იგი მყისიერი არ არის და სრულად შეესაბამდება ჩვეულებრივი ფოსტის გაგზავნისთვის არსებულ წესებს.[91] [92]

თანამედროვე სამყაროში ელექტრონული ფოსტით კომუნიკაცია მხარეთა შორის ჩვეულებრივი მოვლენაა. თუკი ელექტრონული ფორმით გაფორმებულ ხელშეკრულებას ჩვეულებრივ, ტრადიციული გაგებით წერილობით გაფორმებულ ხელშეკრულებას გავუთანაბრებთ, თავისუფლად შეიძლება მხარეთა მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში ცვლილებების შეტანა ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც განხორციელდეს.[93]

პრაქტიკაში არსებული მაგალითებიდან გამომდინარე, ამგვარი მოქმედება შემდეგნაირად ხორციელდება: მხარეები ბეჭდავენ ელექტრონულ დოკუმენტს, შემდეგ მატერიალური სახით დაფიქსირებულს აწერენ ხელს და ხელმოწერილს ისევე ელექტრონული სახით უგზავნიან მეორე მხარეს. ამდენად, ასეთ დროს ხელშეკრულება იდება ელექტრონული ფოსტის დახმარებით და არა ელექტრონული ფოსტით. ამ დროს ელექტრონული ფოსტა მხოლოდ ე.წ. გამტარ ფუნქციას ასრულებს.[94]

ელექტრონული ფოსტის დახმარებით ხელშეკრულების დადების მეორე შემთხვევაში ელექტრონული ფოსტის გაგზავნით (იგულისხმება მასში არსებული ტექსტი, ან წერილი, რომელსაც არ გააჩნია მეორე მხარისთვის ხელმოწერის ადგილი) და მისი მიღებით დებენ მხარეები ხელშეკრულებას. ასეთ დროს საკამათო ის

---

[90] Murray, Andrew D. Entering into contracts electronically: the real W.W.W. In: Edwards, Lilian and Waelde, Charlotte, (eds.) Law and the Internet: a Framework for Electronic Commerce. Hart Publishing, Oxford, UK. 2000. 17-36.

[91] ანდღულაძე ქ. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამართლის ჟურნალი N1, 2014. 77-78.

[92] Murray, Andrew D. Entering into contracts electronically: the real W.W.W. In: Edwards, Lilian and Waelde, Charlotte, (eds.) Law and the Internet: a Framework for Electronic Commerce. Hart Publishing, Oxford, UK.2000. P 1-2

[93] Holmes S./ Stevens v. Publicis: The Rise of "No E-Mail Modifi caton" Clauses?, Washington Journal of Law, Technology& Arts, Vol. 6, Issue 1, 2010. 68

[94] ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი 2017.156

საკითხი ხდება, თუ რამდენად დაცულია წერილობითი ფორმა. მაგალითად, გამყიდველი შეუთანხმდა მყიდველს უძრავი ნივთის მიყიდვის თაობაზე და მისწერა მას, რომ მიწის ნაკვეთის ღირებულება ასი ათას ლარს შეადგენს. თუ მყიდველმა საპასუხო ელექტრონული ფოსტით დაუდასტურა გამყიდველს თავისი ნება და დაეთანხმა მის ოფერტს, იგულისხმება, რომ მხარეთა შორის შეთანხმება

მიღწეულია, თუმცა ეს ფაქტი ხელშეკრულების დადების თაობაზე შესაბამის მტკიცებულებად ვერ იქცევა. პრაქტიკული თვალსაზრისითაც, ელექტრონული ფოსტის ამონაწერებს საჯარო რეესტრი ვერ ჩაიბარებს. ამასთან, ეს შეიძლება ასევე პრობლემა გახდეს სასამართლოში ხელშეკრულების დადების მტკიცების თვალსაზრისითაც. შესაძლებელია, სასამართლომ ელექტრონული ფოსტით მიღწეული შეთანხმება წერილობითი გარიგების მაგალითად არ მიიჩნიოს. შესაბამისად, ასეთის არსებობისას ხელშეკრულების თავისუფლების რეალიზაცია გარკვეული სირთულეებით (მოწესრიგების არასრულფასოვნებიდან გამომდინარე) ხასიათდება.[95]

ელექტროული ფოსტის საშუალებით ხელშეკრულების დადებისას მხარეთა შეთანხმება სწორედ ელექტრონული ფოსტის გაგზავნით ხორციელდება. აღნიშნული საკითხი არ შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მხარე ელექტრონული ვერსიის ხელმოწერილ დოკუმენტს უგზავნის მეორე მხარეს ხელმოსაწერად.[96]

ელექტრონული ფოსტა, ერთი პირისგან მეორისადმი ელექტრონული ფორმით წერილის გაგზავნის ფორმა ინტერნეტის დახმარებით, მოსახერხებელი მეთოდია დროში გაწელილი პირდაპირი კომუნიკაციისთვის. იმ დროსაც როცა ელექტრონული ფოსტა შეიძლება იყოს როგორც მხოლოდ წერილი, მისი დახმარებით შეიძლება ასევე ხელშეკრულების ფორმირება. შესაბამისად, ელექტრონული ფოსტა წარმოადგენს ორივე ფორმალური და არაფორმალური ურთიერთობის საშუალოს. „მეწარმე სუბიეტები ხშირად თვლიან არაფორმალურ ელექტრონულ მიმოწერასა და საქმიან მიმოწერას არასახელშეკრულებო მტკიცებულებად“. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ ტელეგრამა „ დაბეჭდილი ხელმოწერით, ბლანკზე ან დასმული ლოგოთი მიიჩნევა ძალაში მყოფად სახელშეკრულებო მიზნებისათვის“.[97]

ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეტყობინების გაგზავნისა და მიღების ხელშეწყობა ასახულია საქართველოს სასამართლოებისთვის განკუთვნილ რეკომენდაციებშიც.[98] აღნიშნული მოწმობს იმას, რომ ელექტრონული ფოსტა

---

[95] ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი 2017. 156-157

[96] ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი 2017. 155-156

[97] United Nations Publication. Sales NE.07. V2. United Nations Convention on the Use of Electronic Communications in International Contracts. New York ,2007.26

[98] საქართველოს უზენაესი სასამართლო, რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, თბილისი 2007, 50.

ჩვეულებრივი საფოსტო მომსახურების ჩანმაცვლებლად თავისუფლად შეგვიძლია მოვიაზროთ.[99] [100]

2.2.ელექტრონული ფოსტის გაგზავნა

ელექტრონული ფოსტის საშუალებით დადებული ხელშეკრულებისას მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როდის ჩაითვლება ნება გამოვლენილად.[101]

მეტად საინტერესოა და იურიდიულ ლიტერატურაში დისკუსიის საგანია საკითხი, თუ როდიდან ითვლება დადებულად ელექტრონული ფოსტის გამოყენებით დადებული ხელშეკრულება. სახელშეკრულებო უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ამიტომ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი, თუ როდიდან ჩაითვლება ხელშეკრულება დადებულად.[102] როგორც ცნობილია, ხელშეკრულება ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით დადებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა ოფერტი მიღებული იქნება აქცეპტანტის მიერ.

ელექტრონული ფოსტის „მოგზაურობა" ასე შეიძლება აღიწეროს: მას შემდეგ, რაც იგი შექმნილია გამგზავნის მიერ, პირველ რიგში უკავშირდება ინტერენეტის მომსახურების მომწოდებელს. შემდგომ, გაგზავნის ღილაკზე დაჭერით, ელექტრონული ფოსტა გადაეცემა კომპიუტერების საერთაშორისო ქსელში, სანამ იგი არ მიაღწევს მიმღების ინტერნეტის მომსახურების მიმწოდებელთან.[103] ინტერნეტის მეშვეობით კი მიმღებს შეუძლია ჩამოტვირთოს შეტყობინება.[104]/[105]

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი შეხედულების მიხედვით, ელექტრონულ ფოსტაზეც სხვა კომუნიკაციის მარეგულირებელი წესები უნდა გავრცელდეს, მსგავსი შეხედულება ალბათ არ იქნება მისაღები.[106] სწორედ ამიტომ ელექტრონული

---

[99] ანდღულაძე ქ. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამართლის ჟურნალი N1, 2014. 85.

[100] სასამართლოს მიერ ხდება ელექტრონული ფოსტის გამოყენება ძალიან ეფექტრუად. იხ. მაგ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე : №as-1633-1623-2011, 26 დეკემბერი, 2011, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx , [04.11.2013].

[101] ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი 2017.155-156

[102] ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი", თბილისი 2001. 89

[103] Nolan Donal. Offer and Acceptance in the Electronic Age. Chapter of a book.Contract formation and parties. A. Burrows, E. Peel, eds. Oxford, U.K., Oxford University Press, 2010. 61-87.

[104] ანდღულაძე ქ. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამართლის ჟურნალი N1, 2014. 77-78

[105] Ibrahim M.A., Ababneh A., Tahat H., The Postal Acceptance Rule in the Digital Age, Journal of International Commercial Law and Technology, Vol. 2, Issue 1, 2007. 48-49

[106] Christen S., Formation of Contracts by Email – Is it Just the Same as the Post?, Queensland University of Technology Law & Justice Journal, 2001. 3

ფოსტით გამოვლენილი ნება არათანმყოფ პირთან გამოვლენილ ნებად უნდა მივიჩნიოთ. [107]

ერთ-ერთი ტრადიციული პრობლემა მდგომარეობს იმაში თუ როდის არის წერილი გაგზავნილი და როდის აღწევს იგი ადრესატამდე. ელექტრონული საშუალებით წერილის გაგზავნისას შეიძლება ვისაუბროთ ორი გაგზავნის დროზე. პირველი, უმეტესი სამართლის სისტემა ადგენს, რომ გაგზავნის მომენტად ითვლება დრო როცა ელექტრონული წერილი არ შეიძლება გაკონტროლდეს გაგზავნის ან გამგზავნის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ მას შემდეგ რაც გამგზავნი გაუშვებს მას. მეორე, როცა ელექტრონული წერილი შედის საინფორმაციო ელექტრონულ სისტემაში, რომელიც კონტროლდება მიმღების მიერ ან ინფორმაციის მიმღები პროვაიდერის მიერ. აღნიშნული გულისხმობს, რომ არსებობს ორი ხედვა გაგზავნის დროსთან დაკავშირებით. პირველი, გაგზავნის დროდ ითვლება როცა ელექტრონული მონაცემები გადის გამგზავნისგან. მეორედ, გაგზავნის დროს ითვლება როცა ელექტრონული მონაცემები ხვდება მიმღების კონტროლის სფეროში.[108]

2.3. UNCITRAL-ის მოდელური კანონი ელექტრონული ფოსტის გაგზავნასთან დაკავშირებით

იმის დასადგენად, თუ როდის უნდა ჩაითვალოს შეტყობინება გაგზავნილად დადგენილია UNCITRAL-ის მოდელური კანონის „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ" (მე-15 მუხლი) მიერ, რომლის თანახმადაც, თუ შემდგენელი და ადრესატი არ შეთანხმებულან სხვა რამეზე, მონაცემთა შეტყობინების შესრულება ხდება იმ მომენტში, როცა იგი ხვდება შემდგენელის ან მისი სახელით მონაცემთა გამგზავნის კონტროლის მიღმა საინფორმაციო სისტემაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ელექტრონული შეტყობინება ითვლება გაგზავნილად და გაგზავნის დროდ ფიქსირდება მომენტი, როდესაც ჩანაწერი შედის საინფორმაციო სისტემაში, რომელსაც არ აკონტროლებს შეტყობინების ავტორი, ან პირი, რომელმაც გააგზავნა ელექტრონული შეტყობინება ავტორის სახელით.[109] აქ შემდგენლის (ავტორის) კონტროლის მიღმა საინფორმაციო სისტემაში იგულისხმება სერვერი, რომელიც იღებს შეტყობინებას საფოსტო სერვერიდან, რომელზეც იმყოფება შემდგენლის (შეტყობინების ავტორის) საფოსტო ყუთი, ანუ იმ მომენტიდან, როცა საფოსტო

[107] ანდღულაძე ქ. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამართლის ჟურნალი N1, 2014. 77-78

[108] Sung-Ho Park. A Comparative Legal Research on Contract Formation via Electronic Means: Time Lag of Contract Creation in the International Sales Transaction. 2008. 6-7

[109] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 120

პროგრამამ შეტყობინების მიწოდების შემდეგ მოსარგებლეს შეატყობინა, რომ შეტყობინება გაგზავნილია.[110]

UNCITRAL-ის მოდელური კანონი ელექტრონული ვაჭრობის თაობაზე[111] კონკრეტულად არეგულირებს საერთაშორისო სტანდარტს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს დადებულად ელექტრონული შეტყობინებებით, მათ შორის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებები. მოდელური კანონის მე-11 მუხლი ადგენს, რომ:

„ხელშეკრულების დადების თვალსაზრისით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები სხვა რამეზე არიან შეთანხმებული, ოფერტი და აქცეპტი შეიძლება გაკეთდეს ელექტრონული შეტყობინებების მეშვეობით. თუკი ხელშეკრულება დადებული ელექტრონული შეტყობინების გამოყენებით, მსგავსი ხელშეკრულება არ უნდა იქნეს მიჩნეული გათილად ან შეუძლებელი იყოს მისი შესრულება მხოლოდ იმიტომ, რომ ხელშეკრულების დადების მიზნით ელექტრონული შეტყობინება იყო გამოყენებული“.

ელექტრონული შეტყობინება გამგზავნის მიერ ინიცირებულად მიიჩნევა, თუკი შეტყობინება გაგზავნილია იმ საინფორმაციო სისტემით, რომელიც დაპროგრამებულია გამგზავნის მიერ, რათა იმოქმედოს ავტომატურად.[112]

მოდელური კანონის მე-15 მუხლის თანახმად ელექტრონული შეტყობინება გაგზავნილად მიიჩნევა გაგზავნის ღილაკზე გამგზავნის ხელის დაჭერისას, რაც „მეილბოქსის წესის“ ასახვაა.[113]/[114]

ელექტრონული ფოსტის მომსახურებით სარგებლობა სრულად არის დაკავშირებული იმ პირების კომპიუტერებთან, რომლებიც იღებენ და აგზავნიან ამ მონაცემებს. [115]

---

[110] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 120

[111] UNCITRAL Model Law on Electronic Commerce with Guide to Enactment (1996) with additional article 5 bis as adopted in 1998, http://www.uncitral.org/pdf/english/texts/electcom/05-89450_Ebook.pdf

[112] UNCITRAL Model Law on Electronic Commerce with Guide to Enactment (1996) with additional article 5 bis as adopted in 1998, http://www.uncitral.org/pdf/english/texts/electcom/05-89450_Ebook.pdf

[113] ანდღულაძე ქ. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამართლის ჟურნალი N1, 2014. გვ. 80

[114] Glatt C. Comparative Issues in the Formation of Electronic Contracts, International Journal of Law and Information Technology, Vol. 6, No. 1, 1997, 59 http://ecommercelaw.ru/sites/default/files/comparative%20issues%20in%20formation%20of%20electronic%20contracts.pdf

[115] Christensen Sh. Formation of Contracts by Email – Is it just the Same as the Past? Queensland University of Technology Law & Justice Journal 2001. Page 25

2.4.ელექტრონული ფოსტის მიღება

ელექტრონული შეტყობინება მიღებულად ითვლება, როდესაც იგი შედის განსაზღვრულ[116] საინფორმაციო სისტემაში, ან როდესაც შეტყობინება მიღებულია/მოპოვებულია ადრესატის მიერ.[117/118]

ვენის კონვენციის[119] თანახმად ელექტრონული ფოსტა „მიაღწევს" ადრესატამდე მაშინ, როდესაც იგი მივა საფოსტოს ყუთში და მზადაა წასაკითხად.[120]

ნების ადრესატამდე მისვლისათვის აუცილებელია, რომ ნება მიმღების ტერიტორიული მფლობელობის სფეროში მოხვდეს.[121] ელექტრონულ საფოსტო მისამართზე გადაგზავნილი შეტყობინება კი მაშინ ჩაითვლება ტერიტორიული მფლობელობის სფეროში მოხვედრილად, როდესაც მიმღებს შეეძლება გახსნას იგი ელექტრონულ საფოსტო ყუთში. [122] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა განისაზღვროს ის შემთხვევები, როდესაც ელექტრონული შეტყობინების მიღების ფაქტის დადგენა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რასაც თავად მსგავსი სისტემის არსებობა განაპირობებს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული საფოსტო ყუთის შემოწმება მუდმივად არის შესაძლებელი, სანამ არ დადგინდება, თუ რამდენად რეალურად შეეძლო პირს გამოვლენილი ნების მიღება, მანამდე ჩაითვლება, რომ მას არ მიუღია. [123]/[124]

ჩვეულებრივი ფოსტის მსგავსად, შეტყობინების წაკითხვა შეუძლებელია, სანამ ის არ არის გახსნილი მისი მიმღების მიერ. [125]

---

[116] ანდღულაძე ქ. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამართლის ჟურნალი N1, 2014. 80

[117] UNCITRAL Model Law on Electronic Commerce with Guide to Enactment (1996) with additional article 5 bis as adopted in 1998, 54-55,http://www.uncitral.org/pdf/english/texts/electcom/05-89450_Ebook.pdf

[118] Ibrahim M.A., Ababneh A., Tahat H., The Postal Acceptance Rule in the Digital Age, Journal of International Commercial Law and Technology, Vol.2, Issue 1, 2007, 51.

[119] United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1980, Art. 24, "...an offer, declaration of acceptance or any other indication of intention "reaches" the addressee when it is made orally to him or delivered by any other means to him personally, to his place of business or mailing address or, if he does not have a place of business or mailing address, to his habitual residence".

[120] Christen S., Formation of Contracts by Email – Is it Just the Same as the Post? Queensland University of Technology Law & Justice Journal, 2001. 35

[121] მარიამიძე გ., სახელმღვანელო კონსპექტი იურისტებისთვის, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი 1 ნაწილი, თბილისი, 2011, 93

[122] ანდღულაძე ქ. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამართლის ჟურნალი N1, 2014. გვ./ მარიამიძე გ., სახელმღვანელო კონსპექტი იურისტებისთვის, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი 1 ნაწილი, თბილისი, 2011, 93

[123]ანდღულაძე ქ. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამართლის ჟურნალი N1, 2014. გვ. მარიამიძე გ., სახელმღვანელო კონსპექტი იურისტებისთვის, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი 1 ნაწილი, თბილისი, 2011. 95-96

[124] მარიამიძე გ., სახელმღვანელო კონსპექტი იურისტებისთვის, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი 1 ნაწილი, თბილისი, 2011, 95-96

[125] Hill S. W. B., Email Contracts – When Is the Contract Formed?, Journal of Law and Information Science, Vol. 12, No 1, 2001, 50.

ელექტრონული ჩანაწერის მიღების დროს მოდელური კანონი ასევე დისპოზიციური ნორმის სახით ადგენს, რომელიც მხარეებს ქცევის წესის თავად განსაზღვრის საშუალებას აძლევს. ამასთან, თუ შემდგენელი და მიმღები არ შეთანხმებულან სხვა რამეზე, ელექტრონული ჩანაწერის მიღების დრო განისაზღვრება შემდეგი წესით: თუ ადრესატმა მიუთითა მონაცემთა შეტყობინების მიღების მიზნით საინფორმაციო სისტემა, მიღება ხდება იმ მომენტში, როცა მონაცემთა შეტყობინება შედის მითითებულ საინფორმაციო სისტემაში; თუ მონაცემთა შეტყობინება (ელექტრონული ჩანაწერი) იგზავნება ადრესატის საინფორმაციო სისტემაში, რომელიც არ არის წინასწარ განსაზღვრული საინფორმაციო სისტემა, – იმ მომენტში, როცა ადრესატი მონაცემთა შეტყობინებას ამოიღებს სისტემიდან; თუ ადრესატს არ განუსაზღვრავს კონკრეტული საინფორმაციო სისტემა, მაშინ მიღების დროდ ითვლება დრო, როდესაც ელექტრონული ჩანაწერი შედის ადრესატის რომელიმე საინფორმაციო სისტემაში. საინფორმაციო სისტემაში იგულისხმება სერვერი, რომელზეც იმყოფება მიმღების (ადრესატის) საფოსტო ყუთი. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებულია შემთხვევები, როცა ელექტრონული შეტყობინების გამგზავნი და მიმღები თანხმდებიან, რომ ელექტრონული შეტყობინების მიღება დაადასტუროს ადრესატმა. დადასტურების ფორმას, ჩვეულებრივ, ასევე განსაზღვრავენ მხარეები. როდესაც ელექტრონული შეტყობინების გამგზავნი განაცხადებს, რომ შეტყობინებას აქვს წინასწარი ხასიათი და დამოკიდებულია დადასტურებაზე, შეტყობინება არ ითვლება მიღებულად დადასტურების მიღებამდე.[126]

ზოგადი პრინციპის თანახმად ოფერტი/აქცეპტი გაგზავნილი ელექტრონული ფოსტის საშუალებით ჩაბარებულად ითვლება როცა იგი მხარემ მიიღო. მიღებად აღნიშნული სისტემის შემთხვევაში ითვლება ადრესატის მისამართზე მეილის მისვლა ან როცა მეილი გადმოიწერება ადრესატის კომპიუტერში ან როცა მეილი წაკითხულ იქნება ადრესატის მიერ.[127]

ელექტრონული წერილის მიღების საკითხიც საკმაოდ რთულია. მიღების დრო შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანიც იყოს, ვიდრე გაგზავნის დრო რადგან იურისდიქცია შესაძლოა დადგინდეს იმ ადგილის მიხედვით სადაც ხდება ხელშეკრულების პირობების აქცეპტირება.[128]

ელექტრონული ფოსტა გაგზავნა, ხელმოწერის ან მის გარეშე, სახელისა და საკონტაქტო მონაცემების მითითებით, შესაძლოა ნიშნავდეს ნებას ხელშეკრულების დადებაზე. თუ სასამართლო დაადგენს, რომ გამგზავნი მიზნად ისახავდა დოკუმენტის შინაარსზე თანხმობის მიღებას“, მაშინ ის შეზღუდული იქნება სახელშეკრულებო პირობებით. განსხვავებით, „მიმღები“ ელექტრონულ სივრცეში

---

[126] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. გვ. 120-121

[127] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. გვ. 120-121

[128]ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. გვ. 121

არ არის ვალდებული იცოდეს, გახსნას ან წაიკითხოს მიღებული შეტყობინება. ყველაფერი რაც მოითხოვება არის, რომ ელექტრონული შეტყობინების დამუშავება შესაძლებელი იყო მიმღების სისტემის მხრიდან.[129]

ხელშეკრულების თავისუფლება მხარეებს იმგვარი მოქმედების უფლებას ანიჭებს, რომლითაც მათ შეუძლიათ წინარე ხელშეკრულებაში მოაწესრიგონ ნების ადრესატამდე მისვლის საკითხი. თუ მტკიცება დასჭირდება პირს ამ საკითხთან მიმართებით, გამოიყენება არაერთი ტექნოლოგიური საშუალება, რომელიც ასეთ ფაქტს დაადასტურებს. განსხვავებულად წესრიგდება საკითხი, როდესაც საქმე ისეთი სახის შეთანხმებებს (ხელშეკრულებებს) ეხება, რომელიც ნების გამოვლენის ფაქტს არ აკონკრეტებს. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გამიჯნულ იქნეს ის, თუ ვის უგზავნის ელ. ფოსტის გამგზავნი ასეთ შეტყობინებას _ მეწარმეს (საწარმოს, იმ პირს, რომელიც ბიზნესსაქმიანობას ეწევა), თუ კერძო პირს. უფრო ზუსტად, პრობლემის გადაჭრისას გასათვალისწინებელია ის, თუ რამდენად ელოდებოდა ან/და შეიძლებოდა მოლოდინი ჰქონოდა პირს, რომ მიიღებდა ასეთ ელექტრონულ შეტყობინებას. მაგალითად, ბიზნესით დაკავებული პირი დღეში რამდენჯერმე ამოწმებს ელ. ფოსტას. ეს წარმოშობს მოლოდინს, რომ იგი უფრო მალე ნახავს ამგვარ შეტყობინებას, ვიდრე სხვა პირი. თუმცა, ორივე შემთხვევაში, საჭიროა ელ. ფოსტის მიმღების მხრიდან შესაბამისი წერილობითი (ელ. ფოსტის ან სხვა, მატერიალური დოკუმენტის) სახით ოფერტის მიღება და აქცეპტით მისი დადასტურება.[130]

2.5.ელექტრონული ფოსტის მიღების დრო და ადგილი

ხელშეკრულების დადების ზუსტი დროის ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ხელშეკრულების პირობების დადგენა და მისი შესრულების დაწყება სწორედ ამ მომენტთანაა დაკავშირებული.[131] ხელშეკრულების დადების დროის მსგავსად, ასევე მნიშვნელოვანია დადების ადგილი,[132] რადგან საერთაშორისო სახელშეკრულებო ურთიერთობების შემთხვევაში მასზეა დამოკიდებული სამომავლო/საჭირო სასამართლოს განსჯადობისა და, შესაბამისად, გამოსაყენებელი სამართლის საკითხი.[133]

შეტყობინების მიღების ადგილის განსაზღვრის თვალსაზრისით, მოდელური კანონი ცდილობს მხარეთა ადგილსამყოფელთან მაქსიმალურად დააკავშიროს იგი. ამ

---

[129] United Nations Publication. Sales NE.07. V2. United Nations Convention on the Use of Electronic Communications in International Contracts. New York ,2007.33

[130] ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი 2017. 155-156

[131] ანდღულაძე ქ. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამართლის ჟურნალი N1, 2014. 87

[132] Tasneem F. Electronic Contracts and Cloud Computing. Journal of International Commercial Law and Technology. Vol. 9, N 2(2014). 106

[133] Hill S. W. B., Email Contracts – When Is the Contract Formed?, Journal of Law and Information Science, Vol. 12, No 1, 2001, 49.

საკითხის აქტუალურობა საერთაშორისო ურთიერთობებში იურისდიქციების სხვაობითაა განპირობებული. [134] რეგულირება ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ სისტემის მიერ შეტყობინების მიღების მიუხედავად, თუკი მიმღებს არ აქვს ფაქტობრივი საშუალება იხილოს იგი, მოდელური კანონის მიზნებისათვის შეტყობინება მიღებულად არ ჩაითვლება.[135]/[136]

არსებული მოსაზრების თანახმად, ელექტრონული ფოსტის მიღების ადგილი არა ფიზიკურად მისი მიღების/გახსნის მიხედვით, არამედ ფუნქციური გაგებით უნდა განვიხილოთ,[137] რადგან ელ-ფოსტის მიღება ყველგან შეიძლება, და ძნელია იმის განსაზღვრა, თუ სად დაიდო ხელშეკრულება, ამიტომ ყველაზე მეტად მისაღებია შეხედულება, რომელიც ითვალისწინებს ფოსტის მიღებას იმ მომენტიდან, როდესაც იგი მიაღწევს მიმღების ელექტრონული მონაცემების შემნახველ ადგილს. [138]

2.6.საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ელექტრონულ ფოსტასთან დაკავშირებით

საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკა ელექტრონული ფოსტის სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებით ძალზე მწირია და იმავდროულად არამყარად არგუმენტირებული.[139]

2011 წლის 27 ივნისის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად #ას-683-644-2011[140] სასამართლომ უარი თქვა გამოეყენებინა მტკიცებულებად ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება კრების მოწვევის თაობაზე, რადგან მსგავსი წესი კრების მოწვევაზე არ ყოფილა გათვალისწინებული საწარმოს წესდებით.

მეორე მხრივ, უახლესი პრაქტიკის თანახმად ეს მიდგომა შეცვლილია და ტენდენცია ელექტრონული ფორმის სასიკეთოდ გადაიხარა. უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის განჩინებით საქმეზე №ას-862-862-2018 ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი წერილი მიჩნეულ იქნა სათანადო

---

[134] Johnson K.D., Measuring Minimum Contracts over the Internet: How Courts Analyze Internet Communications to Acquire Personal Jurisdiction over the Out-of-state Person, University of Louisville Law Review, Vol. 46, 2008.

[135] ანდღულაძე ქ. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამართლის ჟურნალი N1, 2014. გვ.80

[136] UNCITRAL Model Law on Electronic Commerce with Guide to Enactment (1996) with additional article 5 bis as adopted in 1998, 56, http://www.uncitral.org/pdf/english/texts/electcom/05-89450_Ebook.pdf

[137] Hahnkamper W., Acceptance of an Offer in Light of Electronic Communications, Journal of Law and Commerce,Vol. 25:147, 2006, 150

[138] ანდღულაძე ქ. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამართლის ჟურნალი N1, 2014. 88

[139] ანდღულაძე ქ. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამართლის ჟურნალი N1, 2014.90-91

[140]იხ. http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

ფორმით მხარისათვის გაგზავნილ შეტყობინებად. თუმცა სასამართლო არ განმარტავს მისი ჩაბარების წესთან დაკავშირებით დამატებით პირობებს, რადგან გადაწყვეტილების თანახმად მხარეს პირადადაც ჩაბარდა იგივე დოკუმენტი და ხანდაზმულობის ვადის ათვლაც სწორედ ამ ვადიდან იქნა განხორციელებული. სასამართლო არ უარყოფს ელექტრონული შეტყობინების გათანაბრებას მატერიალურ დოკუმენტთან, მაგრამ არც დამატებით იძლევა განმარტებას მისი მიღების დროსთან დაკავშირებით.[141]

ასევე, უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 04 მარტის გადაწყვეტილებით საქმეზე №ას-11-11-2018 მხარის მიერ მეორე მხარისათვის ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება, მისი მიღების დადასტურების მტკიცებულებით, მიჩნეულ იქნა სათანადო წესით განხორციელებულ ქმედებად. [142]

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო რიგ შემთხვევებში განმარტავს ელექტრონული ფოსტის სამართლებრივ სტატუსს, უკეთესია შემუშავდეს სპეციალური ნორმატიული აქტი, რომელიც ამ საკითხს დაარეგულირებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მანამ, სანამ კანონმდებლობით ზუსტად არ იქნება რეგულირებული ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადება, მასთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემა ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით უნდა გადაწყდეს.[143]

3. ვებ-გვერდის საშუალებით დადებული ხელშეკრულება

3.1.ხელშეკრულების დადება

ვებ-ფორმულარის მეშვეობით გარიგების დადება ხდება ვებ-გვერდზე მოცემული ფორმულარის შევსებით ან ვებ-გვერდზე თანხმობის ღილაკის დაჭერით. ფორმულის შევსებით ხელშეკრულების დადება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ვებ-გვერდი მოიცავს ზოგადი ხასიათის ინფორმაციას და არა ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას და ის ოფერტზე მოწვევის ხასიათს ატარებს, შესაბამისად, ფორმულარის შევსება აკონკრეტებს ხელშეკრულების პირობებს და წარმოადგენს ოფერტს, ხოლო ფორმულარის ვებ-გვერდის მიერ "მიღება" - აქცეპტს.[144]

ზოგიერთ ვებ-გვერდზე ელექტრონულ ვაჭრობაში ჩაბმამდე აუცილებელია მომხმარებლის რეგისტრაცია, რომელიც რეგისტრაციის შემდეგ უკვე მისთვის განკუთვნილ ინდივიდუალურ ვებ-გვერდზე შედის, რომელიც დაცულია მომხმარებლის კოდით, ხელშეკრულების პირობებიც ამომწურავად არის მოცემული,

---

[141] იხ. http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

[142] იხ. http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

[143] ანდღულაძე ქ. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამართლის ჟურნალი N1, 2014. 92

[144] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 122

შესაბამისად, მომხმარებლის ინდივიდუალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც ოფერტი, ხოლო ღილაკზე თითის დაჭერა ჩაითვლება აქცეპტად.[145] ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი ადგილი აქვს ხელშეკრულების დადებას ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით, რომელიც დადებულად ითვლება როდესაც ოფერტი აქცეპტანტს მიუვა.[146]

ელეტრონულ ვაჭრობაში გამოყენებულ ორივე საშუალებას, ელ-ფოსტასა და ვებ-გვერდს, ელექტრონული ხელშეკრულების დადებისა გააჩნია ტექსტური ფორმის მახასიათებლები, არ საჭიროებენ დოკუმენტს და არც ხელმოწერას.[147]

აქვე შეიძლება გამოვყოთ ხელშეკრულება დადებული სოციალური ქსელის დახმარებით. თუ მხარეები სოციალური ქსელის მიმოწერის ფუნქციის მქონე საშუალებით ერთმანეთს გარკვეული საკითხის თაობაზე შეუთანხმდებიან, ეს ნიშნავს, რომ ისინი სოციალური ქსელის გამოყენებით დებენ ხელშეკრულებას. ასეთი ხელშეკრულება მოაზრებულ უნდა იქნეს, როგორც სოციალური ქსელის საშუალებით დადებული ხელშეკრულება.[148]

3.2.ოფერტი თუ მოწვევა ოფერტზე?

ვებ-გვერდის გამოყენებით ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს მასზე განთავსებული ინფორმაციის იურიდიული ბუნება. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველასათვის და მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი. აღიარებული მოსაზრების თანახმად, ვებ-გვერდზე განთავსებული შეთავაზება არის მოწვევა ოფერტზე, თავად ოფერტი კი შევსებული ფორმულარია. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში აქცეპტი იქნება თანხმობა საიტის საშუალებით მოწვევის გამავრცელებელი პირის მხრიდან, რაც ძალიან სწრაფად ხდება. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის გარემოება, რომ არსებობს ვებ-გვერდები, რომლებზეც ხელშეკრულების არსებითი პირობები მოცემულია ამომწურავად და ხელშეკრულების დასადებად აბსოლუტურად საკმარისია აქცეპტი ვებ-გვერდზე თანხმობის ღილაკის დაჭერის სახით, ანუ საიტზე ინფორმაციის გამავრცელებლის მხრიდან აღარაა საჭირო თანხმობა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კავშირი კლიენტსა და სერვერს შორის წამიერია, რაც ძალიან ემსგავსება პირობითად სატელეფონო კავშირს, რადგან კავშირის გაწყვეტის შემთხვევაში მეორე მხარემ ყოველთვის იცის ამის შესახებ. ამ ტექნიკური თავისებურებების სამართლებრივი დანიშნულება ისაა, რომ აქცეპტის გამგზავნს შეუძლია განსაზღვროს, მიღებულია თუ არა იგი მაშინვე. გარიგებების დადება ვებ-

[145] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 122
[146] ბუაძე ქ. ტექსტური ფორმა ელექტრონული ფორმით დადებულ გარიგებებში. თბილისი. 2012. 19
[147] ბუაძე ქ. ტექსტური ფორმა ელექტრონული ფორმით დადებულ გარიგებებში. თბილისი. 2012. 20
[148] ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი 2017.155

გვერდების მეშვეობით დროის მეტად მცირე მონაკვეთში ხდება, რამაც სამომხმარებლო ურთიერთობებში ეს ოპერაცია მეტად პოპულარულად აქცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კავშირის ქვეყნებში აღნიშნული საკითხების ერთგვაროვანი რეგლამენტაციის მიზნით, 2000 წლის დირექტივით, ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრისას კონცეპტუალური მნიშვნელობა მიენიჭა თანხმობის მიღების დადასტურებას.[149]

ინტერნეტში ხელშეკრულების დადების ნაწილში ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც კონკრეტულ ვებგვერდზე მოცემულია ჩვეულებრივი პირობები და მხოლოდ შესაბამისი ღილაკის მეშვეობით პირი თანხმობას აცხადებს მასზე. ასეთ დროს ვებ-გვერდზე შესაძლებელია სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით იყოს კონკრეტული პოზიცია დასაფიქსირებელი, მაგალითად, ისეთ პირობას უნდა დაეთანხმოს პირი, რომელიც გაეცნო და აბსოლუტურად ეთანხმება სტანდარტულ პირობებს და სხვა. იმის გათვალისწინებით, რომ ვებ-გვერდის მფლობელი კომპანია ან ნებისმიერი პირი, ვინც განაგებს ამ უკანასკნელს, თავად ადგენს სტანდარტულ პირობებს, პრაქტიკული თვალსაზრისიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ, თუ მომხმარებელს სურს ვებგვერდის საშუალებით მომსახურების მიღება, იგი უნდა დაეთანხმოს სტანდარტულ პირობებს. სხვა შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულება არ დაიდება.[150]

V. ელექტრონული ხელმოწერა

1. ცნება

ელექტრონული ფორმით დადებული გარიგებები აყენებს შემსრულებლის იდენტიფიკაციის აუცილებლობას. იდენტიფიკაცია აუცილებელია ორივე მხარისათვის. ხელშემკვრელი მხარეები შესაძლოა ხშირ შემთხვევაში შესაძლებლობას იყონ მოკლებული მოახდინონ მეორე მხარის იდენტიფიკაცია. გარდა ამისა, პრობლემები წარმოიქმნება კომუნიკაციის ავთენტურობის თაობაზე. ორივე საკითხი ელექტრონული ხელმოწერის საშუალებით შეიძლება გადაიჭრას.[151]

იმისათვის, რომ ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება გაუთანაბრდეს წერილობითი ფორმის ხელშეკრულებას, აუცილებელია მისი ხელმოწერა. ნათელია, ელექტრონული დოკუმენტის თავისებურებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ხელმოწერა ჩვეულებრივი მნიშვნელობით, იგი ასევე ელექტრონული საშუალებებით უნდა მოხდეს.

---

[149] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 124

[150] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 124

[151] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 125

ელექტრონული ხელმოწერა მხოლოდ ციფრული ხელმოწერა არ არის, ეს უფრო ფართო ცნებაა. ელექტრონული ხელმოწერის მრავალი განმარტება არსებობს, მაგრამ ყველა მათგანის საერთო ამოსავალი წერტილია გარკვეული ინფორმაცია, რომელიც ელექტრონული დოკუმენტის ნაწილია, ან მასთან ლოგიკურადაა დაკავშირებული და აუცილებელია მისი ავთენტიფიკაციისათვის.[152]

ელექტრონული ხელმოწერა არის ნებისმიერი ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნილ მონაცემთა ერთობლიობა, რომელსაც ხელმომწერი იყენებს ელექტრონულ დოკუმენტთან მისი კავშირის აღსანიშნავად.[153]

2. ელექტრონული ხელმოწერის ნიშნები

ელექტრონული ხელმოწერა შეიძლება იყოს მარტივი, რომლის განხორციელებაც მარტივი საშუალებების გამოყენებით შეიძლება (მაგ., სკანირებული ხელმოწერის მიმაგრებით), ამასთან, ასეთი ხელმოწერების განხორციელების უსაფრთხოება დაბალია. მისგან უნდა განვასხვავოთ განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც წყვილი გასაღების გამოყენებით ხორციელდება. ხელშეკრულების ელექტრონული გზით დასადებად საჭიროა ხელმოწერის ტექნიკურად უსაფრთხო და სამართლებრივად აღიარებული საშუალებები.[154]

ევროკავშირის ქვეყნებში ელექტრონული ხელმოწერის საკითხების ერთგვაროვან რეგლამენტაციას უზრუნველყოფს დირექტივა "ელექტრონული ხელმოწერის შესახებ", ხოლო UNCITRAL-ის ელექტრონული ვაჭრობის სამუშაო ჯგუფის 31-ე-38-ე სესიები მიეძღვნა მოდელური კანონის შექმნას „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ". 1999 წლის დირექტივამ დაადგინა ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული ხელმოწერის გასაღების სერტიფიკატის გაცემაზე მომსახურების გაწევის „ჩარჩო“ რეგულირება, რათა ევროკავშირის მონაწილე სახელმწიფოებს ამ დირექტივის შესაბამისად მიეღოთ კანონები და კანონქვემდებარე აქტები. კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ელექტრონული ხელმოწერები, რომლებიც შექმნილია ელექტრონული ციფრული ხელმოწერის საიმედო საშუალებების გამოყენებით და აქვს შესაბამისი სერტიფიკატი: ა) აკმაყოფილებდეს ელექტრონული ფორმის მონაცემთა მიმართ ხელმოწერის იურიდიულ მოთხოვნებს ისევე, როგორც პირადად სუბიექტის მიერ ქაღალდზე ასახულ ინფორმაციაზე განხორციელებული ხელმოწერა; ბ) ელექტრონული საშუალებით ხელმოწერილი დოკუმენტი დაიშვებოდეს როგორც სასამართლო მტკიცებულება. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ელექტრონული ხელმოწერების მარეგულირებელი

---

[152] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 124

[153] დარჯანია თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 69.

[154] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 125-127

კანონმდებლობისადმი ისეთი საყოველთაოდ აღიარებული მიდგომა, როგორიცაა ე.წ. "ტექნოლოგიური ნეიტრალურობა". პირადი ხელმოწერის ნებისმიერი ელექტრონული ანალოგის სამართლებრივი აღიარება და მათი იურიდიული ძალა არ იზღუდება გამოყენებული ტექნოლოგიის მიხედვით. ელექტრონული ხელმოწერა მხოლოდ უნდა პასუხობდეს გამოყენებული სამართლის მოთხოვნებს. სწორედ ამ მიზეზით ელექტრონული ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე UNCTIRAL-ის სამუშაო ჯგუფმა უარი თქვა "კრიპტოგრაფიული გასაღების" ცნების შემოტანაზე "ელექტრონული ხელმოწერების შესახებ" მოდელური კანონის პროექტში, რადგან იგი არ პასუხობდა ნეიტრალურობის პრინციპს, რომელიც პროექტის საფუძველი იყო.[155]

3. ციფრული ხელმოწერა

ციფრული ხელმოწერა წარმოადგენს ელექტრონული ხელმოწერის ერთ-ერთ სახეს, რომელიც უზრუნველყოფს მეტ დაცულობას ტრადიციულ ელექტრონუილ ხელმოწერასთან შედარებით. [156]/[157]

ელექტრონული დოკუმენტის შედგენისას პრობლემური საკითხია მისი ავთენტიფიკაცია და ხელშეუხებლობა, რისი გადაჭრაც ელექტრონული ციფრული ხელმოწერის მეშვეობით შეიძლება, რომელიც ყველაზე სანდო ხელმოწერაა და ეფუძნება სწორედ წყვილი გასაღების – ღია და დახურულის (ზოგჯერ მათ საჯარო და პირად გასაღებებსაც უწოდებენ) – გამოყენებას. ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერა სიმბოლოთა ერთობლიობაა, რომლის გენერირებაც ხდება სპეციალური ალგორითმით – დოკუმენტის ტექსტისა და დოკუმენტის ხელმომწერი პირის პირადი კოდის „შერევით". როგორც ამ განმარტებიდანაც ჩანს, ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერა განუყოფლად აკავშირებს კონკრეტულ ელექტრონულ დოკუმენტს კონკრეტულ პირთან, უფრო ზუსტად კი, მისთვის ცნობილ ერთ კოდთან. თუ შევცვლით ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერით შესრულებულ დოკუმენტს, მის თუნდაც ერთ სიმბოლოს, ხელმოწერა აღარ დაემთხვევა. ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერა არის ელექტრონული დოკუმენტის რეკვიზიტი, იგი გამიზნულია, გაყალბებისაგან დაიცვას მოცემული ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც მიღებულია ინფორმაციის კრიპტოგრაფიული გარდაქმნის შედეგად ელექტრონულციფრული ხელმოწერის დახურული გასაღების გამოყენებით და იძლევა გასაღების სერტიფიკატის მფლობელის იდენტიფიკაციის, ასევე ელექტრონულ დოკუმენტში ინფორმაციის შეცვლის (დამახინჯების) არარსებობის დადგენის საშუალებას. ამდენად, ელექტრონული ციფრული

[155] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 124

[156] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 127

[157] Bolam P./Choi R. Electronic signatures : when are they effective? Internet Law Bulletin LexisNexis October 2012 Vol 15 .No 7. 118

ხელმოწერა არის ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც ელექტრონული ჩანაწერის ტრანსფორმაციაა ასიმეტრიული კრიპტოსისტემის გამოყენებით. ამ პროცესის დროს პირს, რომელსაც აქვს საწყისი, არატრანსფორმირებული ელექტრონული ჩანაწერი და ხელმომწერი პირის საჯარო გასაღები, შეუძლია, ზუსტად განსაზღვროს: ა) მოხდა თუ არა ტრანსფორმაცია პირადი გასაღების გამოყენებით, რომელიც შეესაბამება ხელმომწერი პირის საჯარო გასაღებს; ბ) მოხდა თუ არა საწყისი ელექტრონული ჩანაწერის შეცვლა მას შემდეგ, რაც შესრულდა ტრანსფორმაცია.[158]

ელექტრონულ დოკუმენტზე ციფრული ხელმოწერა მიიჩნევა მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ, თუ ფიცრული ხელმოწერა გამოიყენება ელექტრონული დოკუმენტის ხელმოწერის მომენტში მოქმედ სერთიფიკატში მითითებული მონაცემების შესაბამისად და შესაძლებელია ციფრული ხელმოწერის ნამდვილობის შემოწმება და დადასტურება. სერთიფიკატის საფუძველზე შექმნილი ციფრული ხელმოწერით[159] დამოწმებული ან/და დადასტურებული ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა შემთხვევაში, თუ საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არ მოითხოვს სერთიფიკატის საფუძველზე შექმნილი ციფრული ხელმოწერის გამოყენებას.[160]

ელექტრონული ხელმოწერის ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ის არ არის ისე რეგულირებული როგორც ციფრული ხელმოწერა და მისი გამოყენების სტანდარტი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის არსებულ შეთანხმებაზეა დამოკიდებული და მხარე ეყრდნობა მეორე მხარის სიტყვას,რომ ხელმოწერა ნამდვილად სანდოა.[161]

eIDAS რეგულაციების[162] მიხედვით, კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას აქვს იგივე იუირიდიული ძალა, რაც მატერიალური ფორმით შესრულებულ ხელმოწერას. აღნიშნული სტანდარტი აღიარებულია ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში.[163]

---

[158] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 124

[159] Wright C. Electronic Contracting In An Insecure World. SANS Institute 2008. 7

[160] თუმანიშვილი გ. გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება). თბილისი 2012. 81-82

[161] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 127

[162] აღნიშნული წარმოადგენს შიდა ბაზარზე ელექტრონული ტრანზაქციებისათვის ელექტრონული იდენტიფიკაციისა და სანდო მომსახურების შესახებ N910/2014 ევროკავშირის რეგულაციის აღსანიშნად გამოყენებულ ტერმინს. eIDAS დახმარებით, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ გამოიყენონ მათი eIDS, როდესაც ურთიერთობა აქვთ სხვა პირთან მეორე სახელმწიფოში, სადაც ასევე მოქმედებს eIDS. აღნიშნული რეგულაცია განმარტავს,თუ რა პირობებით მოახდენენ წევრი სახელმწიფოები მომხმარებლის იდენტიფიკაციას.ამასთან, აღნიშნული რეგულაცია ადგენს სტანდარტებს ელექტრონული ხელმოწერის, ელექტრონული შტამპის და სხვა იდენტიფიკაციის საშუალებების თაობაზე, მათ შორის, ელექტრონული სერტიფიკაცისა და რეგისტრირებული სანდო მომსახურების სტანდარტებს, რაც განხორციელებულ ქმედებას აძლებს იგივე ძალას, რაც გააჩნია მატერიალურად შესრულებულ დოკუმენტს.

[163] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 128

4. ელექტრონული ხელმოწერის ფუნქციები

გარიგებების ელექტრონული გზით ხელმოწერისას აუცილებელია, რომ ხელმოწერა ასრულებდეს შემდეგ იურიდიულ ფუნქციებს: მიუთითებდეს, თუ ვინ მოაწერა ხელი ელექტრონულ დოკუმენტს, იძლეოდეს გარანტიას, რომ ელექტრონული დოკუმენტი ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ, უზრუნველყოფდეს ხელმოწერილი დოკუმენტის ნამდვილობას, ნიშნავდეს გარიგების მხარეთა ნების გამოვლენას, ახდენდეს ელექტრონული გზით დადებული გარიგების წერილობითი ფორმის გარიგებად სიმბოლიზებას. [164]

VI. საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირება

1. კერძო სამართლის უნიფიკაცია

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მოდერნიზაციის ფონზე, სამართლის განახლების აუცილებლობაც იმატებს, რაც თანამედროვე პირობებში მხოლოდ მატერიალური სამართლის უნიფიკაციის შედეგად მიიღწევა. შესაბამისად, დღითი დღე იზრდება ერთგვაროვანი აქტებისა და მოდელური კანონების დატვირთვა და მნიშვნელობა.[165]

კერძო სამართლის უნიფიკაციის მიზანია ერთიანი საკანონმდებლო სივრცის შექმნა საერთაშორისო სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთათვის.[166]

თანამედროვე მსოფლიოში გაბატონებულმა შეხედულებამ ე.წ. სწორზედაპირიანი მსოფლიოს თაობაზე დაამკვიდრა მოსაზრება და ასახა რეალობა, რომ თანამედროვე გარემოში მხოლოდ ღია საზოგადოებამ შეიძლება იარსებოს, რომლისთვისაც უცხოა საზღვრები.[167] ევროკავშირის დირექტივა[168] ავალდებულებს სახელმწიფოებს, დაუყონებლივ შეცვალონ არსებული კანონმდებლობა , რომელიც ხელს შეუშლის ელექტრონული დოკუმენტაციის ბრუნვას ხელშეკრულების დადებასთან მიმართებით.

---

[164] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2..124

[165] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 67

[166] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 67-68

[167] ანდღულაძე ქ. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამართლის ჟურნალი N1, 2014. 79

[168] Electronic Commerce Directive, European Commission, 1998, http://ec.europa.eu/internal_market/e-commerce/ directive/index_en.htm

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ყოველი სახელმწიფო ვალდებულია დაუყონებლივ შეცვალოს არსებული კანონმდებლობა, თუკი იგი ხელს უშლის ელექტრონული დოკუმენტაციის ბრუნვას ხელშეკრულების დადებასთან მიმართებით. უნსიტრალის მოდელური კანონი, ვენის კონვენცია, გერმანიის რეგულირება, საერთო სამართლის მიდგომას ასახავს - თუკი ხელშეკრულება დადებულია ელექტრონული შეტყობინების გამოყენებით, მსგავსი ხელშეკრულება არ უნდა იქნეს მიჩნეული ბათილად, ან შეუძლებელი იყოს მისი შესრულება მხოლოდ იმიტომ, რომ ხელშეკრულების დადების მიზნით ელექტრონული შეტყობინება იქნა გამოყენებული. [169]

არსებობს რამდენიმე აქტი,რომელიც არეგულირებს ელექტრონულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ საკითხებს მათ შორის, ევროკავშირის დირექტივები "ელექტრონული ვაჭრობის შესახებ" (The Electronic Commerce (EC Directive) Regulation 2002),[170] დირექტივა "ელექტრონული ხელმოწერების შესახებ", [171] „მომხმარებელთა დაცვის შესახებ" რეგულაცია (The consumer protection (Distance Selling) Regulations 2000) [172], რომის კონვენცია (Rome 1 convention on (contractual obligations) [173], საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ ვენის კონვენცია (CISG) და სხვა.
მოდელური კანონებისა და მითითებული დირექტივების ძირითადი დებულებების საფუძველზე მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ მიიღო ელექტრონული ვაჭრობისა და ელექტრონული ხელმოწერების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები. [174]

2. UNCITRAL-ის სამართლებრივი რეგულაცია ელექტრონულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით

UNCITRAL-ის ეგიდით მიღებულ იქნა სამართლებრივი აქტები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ ვენის კონვენცია მიღებული 1980 წლის 11 აპრილს და ევროკავშირის კონვენცია საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში ელექტრონული კომუნიკაციების

---

[169] ანდღულაძე ქ. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამართლის ჟურნალი N1, 2014. 92
[170] Directive 2000/31/EC of the European Parliament and the Council of Europe of 8 June 2000 on certain legal aspects of information society services, in particular electronic commerce in the Internal Market (Directive on electronic commerce), Official Journal of the European Communities 17/7/2000.
[171] Directive 1999/93/EC of the European Parliament and the Council of Europe of 13 December 1999 on Community framework for electronic signatures, Official Journal L 013, 19/01/2000, 0012-0020; http:// rechten.kub.nl/simone/Eu-sig.htm
[172] https://www.legislation.gov.uk/uksi/2002/2013/contents/made
[173] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32008R0593
[174] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 112

გამოყენების შესახებ , რომელიც მიღებულ იქნა 2005 წლის 23 ნოემბერს, ნიუ-იორკში.[175]

UNCITRAL მიერ შემუშავებული წესები ეხება საქონლის ნასყიდობის საერთაშორისო სამართალს, საერთაშორისო სავაჭრო დავის გადაწყვეტას, ელექტრონული ვაჭრობას და სხვა საკვანძო საკითხებს. [176]

2.1.საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ ვენის კონვენცია (CISG)

ვენის კონვენცია მიზნას ისახავს „ერთიანი წესების მიღებას საერთაშორისო ნასყიდობის საკითხებთან დაკავშირებით, მხედველობაში იღებს რა სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სისტემებს, სამართლებრივი ბარიერების მოშლას საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში და ამ სფეროს განვითარებას.“ [177]

CISG ეხება საქონლის ნასყიდობასა და მიწოდების საკითხებს.[178] უნდა აღინიშნოს, რომ იმ მომენტისათვის,როდესაც მიღებულ იქნა CISG ინტერნეტი იყოს განვითარების ადრეულ სტადიაზე და შესაბამისად შეუძლებელი იყო მისი განვითარების ასეთი მასშტაბების გათვალისწინება.[179] როგორც დოქტრინაშია მითითებული, CISG არ შეიცავს ელექტრონულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მკაფიო რეგულაციებს.[180]

თუმცა, ყურადღება უნდა გავამხვილოთ კონვენციის მიხედვით ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულებებთან დაკავშირებით საკონსულტაციო საბჭოს[181] მოსაზრებაზე[182], რომლის მიხედვითაც კონვენციის დებულებები (განსაკუთრებით მუხლები 11, 12, 13, 21, 29 და 96) უნდა განიმარტოს ისე, რომ შესაძ;ებელი იყოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენება.[183]

---

[175] Rodziewicz P. Uniform law on electronic contracts as a step forward in elimination barriers of electronic commerce.Page 2

[176] United Nations Publication. Sales NE.07. V2. United Nations Convention on the Use of Electronic Communications in International Contracts. New York ,2007. 32

[177] Hill J.E., The Future of Electronic Contracts in International Sales: Gaps and Natural Remedies under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 2 Nw. J. Tech. & Intell. Prop. 1 (2003), p. 5. Available on http://scholarlycommons.law.northwestern.edu/njtip/vol2/iss1/1

[178] ob. Article 3 (1) CISG.

[179] Rodziewicz P. Uniform law on electronic contracts as a step forward in elimination barriers of electronic commerce. 3

[180] Hill J. E., The Future of Electronic Contracts in International Sales: Gaps and Natural Remedies under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 2 Nw. J. Tech. & Intell. Prop. 1 (2003). 5

[181] http://www.jus.uio.no/pace/cisg-ac-op1/portrait.pdf

[182] CISG-AC Opinion no 1, Electronic Communications under CISG, 15 August 2003. Rapporteur: Professor Christina Ramberg, Gothenburg, Sweden. Adopted by the CISG-AC with no dissent. Text available: http://www.jus.uio.no/pace/cisg-ac-op1/portrait.pdf

[183] Martin Ch. H, The Electronic Contracts Convention, the CISG, and New Sources of E-Commerce Law. Tulane Journal of International & Comparative Law, Vol. 16, No. 2, Spring 2008, p. 475. Available at SSRN: https://ssrn.com/abstract=1120333

შესაბამისად, CISG გამოყენებადია ელექტრონულ ხელშეკრულებებთან მიმართებით.[184]

ამასთან, ელექტრონული ხელშეკრულებები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს დადებულს ელექტრონული ფორმით და ხელშეკრულებებს, რომელთა მიხედვითაც შესრულება ხდება ელექტრონული ფორმით. CISG გამოყენებადია მხოლოდ პირველი სახის ხელშეკრულებების მიმართ.[185]

2.2.საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენების შესახებ ევროკავშირის კონვენცია (CUECIC)

გამოყენების უფრო ფართო სფერო ვენის კონვენციასთან შედარებით გააჩნია ელექტრონული კომუნაციების გამოყენების შესახებ ევროკავშირის კონვენციას. იგი გამოიყენება ისეთ ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომელიც იდება სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტ პირებს შორის.[186] კონვენცია ეხება საერთაშორისო ხელშეკრულებებს იმ მხარეებს შორის რომლებიც მდებარეობენ ორ სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ არ არის სავალდებულო ორი ქვეყანა იყოს კონვენციის ხელმომწერი. თუმცა, კონვენცია გამოიყენება მხოლოდ მაშინ როცა ხელშეკვრელი სახელმწიფოს სამართალი არის ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი, რომელიც უნდა იქნეს მიჩნეული საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით თუ მხარეებს სხვა სამართალი არ აურჩევიათ. [187]

ამასთან, როგორ აღნიშნული კონვენციის, ისე ვენის კონვენციის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ორივე მათგანი ეხება ურთიერთობებს იურიდიულ პირებს შორის. მაშინ როდესაც, ხელშეკრულებების უმეტესობა ელექტრონული ფორმით იდება იურიდიულ პირსა და მომხმარებელს - ფიზიკურ პირს შორის.[188] აღნიშნული ასახულია UNCITRAL-ის მესამე სამუშაო ჯგუფის კვლევაში ონლაინ დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებით.[189]

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონვენციები არ არეგულირებენ საკითხებს ელექტრონული კომუნუკაციების საშუალებით მომსახურების გაწევასთან, ასევე

---

[184] Rodziewicz P. Uniform law on electronic contracts as a step forward in elimination barriers of electronic commerce. 3

[185] Rodziewicz P. Uniform law on electronic contracts as a step forward in elimination barriers of electronic commerce. 4

[186] Rodziewicz P. Uniform law on electronic contracts as a step forward in elimination barriers of electronic commerce.4

[187] United Nations Publication. Sales NE.07. V2. United Nations Convention on the Use of Electronic Communications in International Contracts. New York ,2007.36-37

[188] Rodziewicz P. Uniform law on electronic contracts as a step forward in elimination barriers of electronic commerce. 4

[189] A/CN.9/WG.III/WP.104 - Annotated provisional agenda, p. 4. Text available: https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/LTD/V10/559/93/PDF/V1055993.pdf?OpenElement

მომხმარებელთან დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, პრაქტიკაში ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად გადაჭრილია და აღნიშნული რეგულაციის არარსებობა ხშირ შემთხვევაში არ წარმოშობს მხარეთათვის სამართლებრივ პრობლემებს.[190]

2.3.UNCITRAL მოდელური კანონი ელექტრონული ვაჭრობის შესახებ

მოდელური კანონი ელექტრონული ვაჭრობის სფეროში წარმოიშვა საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში პროგრესისა და ჰარმონიზაციის მიზნით.[191] მოდელური კანონი წერილობით ფორმას მიიჩნევს ელექტრონული ვაჭრობაზე დაფუძნებული რეგულაციისათვის მთავარ დაბრკოლებად, მის მიმართ წაყენებული სამართლებრივი მოთხოვნების გამო.[192] ამასთან, მოდელური კანონი ლეგიტიმურად მიიჩნევს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით დადებულ ხელშეკრულებას. იცი შეიცავს პასუხს ისეთ კითხვებზე, რაც არ არის გათვალისწინებული ვენის კონვენციით, უფრო ზუსტად მე-13 მუხლით, რადგან იგი პირდაპირ წყვეტს წერილობით ფორმასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მათ შორის, ოფერტის, აქცეპტის, გადახედვისა და მოდიფიკაციის საკითხებს. [193]

UNCITRAL-ის მოდელური კანონი "ელექტრონული ვაჭრობის შესახებ" მთლიანად ეფუძნება ე.წ. ფუნქციურ ეკვივალენტს. ეს ნიშნავს, რომ, თუ, ნაციონალური კანონმდებლობის თანახმად, გარიგების დადების და შესრულების პროცესში ქმედებები უნდა აისახოს წერილობითი ფორმით ან წერილობითი დოკუმენტის გამოყენებით, ეს მოთხოვნა ითვლება შესრულებულად მაშინ, როცა მითითებული ქმედებები ხორციელდება ერთი ან რამდენიმე ელექტრონული შეტყობინების საშუალებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით. [194/195]

სწორედ ამიტომ, მოდელური კანონით დადგინდა ელექტრონული ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი პრინციპი: მხარეებს, რომლებმაც დადეს გარიგება, უფლება არა აქვთ, ეჭვის ქვეშ დააყენონ მისი ნამდვილობა და

---

[190] Rodziewicz P. Uniform law on electronic contracts as a step forward in elimination barriers of electronic commerce. 4

[191] Hill J. E. The Future of Electronic Contracts in International Sales: Gaps and Natural Remedies under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 2 Nw. J. Tech. & Intell. Prop. 1 (2003), 28

[192] Hill J. E. The Future of Electronic Contracts in International Sales: Gaps and Natural Remedies under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 2 Nw. J. Tech. & Intell. Prop. 1 (2003), 28

[193] UNCITRAL MODEL LAW ON E-COMMERCE, supra note 265, at Part I, chap. 1 (General Provisions), chap. 2 (application of legal requirements in data messages), chap. 3 (communication of data messages).

[194] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2.116

[195] Hill J. E., The Future of Electronic Contracts in International Sales: Gaps and Natural Remedies under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 2 Nw. J. Tech. & Intell. Prop. 1 (2003). 28-29

სავალდებულოობა მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ის დადებული და ხელმოწერილია ელექტრონული საშუალებით. ინფორმაციას არ შეიძლება წაერთვას იურიდიული ძალა მხოლოდ იმიტომ, რომ მას მონაცემთა ელექტრონული შეტყობინების ფორმა აქვს. აღნიშნულს პირობითად ტექნოლოგიური არადისკრიმინაციის პრინციპსაც უწოდებენ, რისი მიზანიც მონაცემთა ელექტრონული შეტყობინებისა და ქაღალდის დოკუმენტების მიმართ თანასწორი რეჟიმის უზრუნველყოფაა.[196]

მიუხედავად იმისა, რომ მოდელური კანონი არ წარმოადგენს სავალდებულო საკანონმდებლო აქტს, UNCTIRAL ცდილობს შექმნას პლატფორმა ელექტრონული ხელშეკრულებების საერთაშორისოდ აღიარებისათვის იმ მხარეთათვის, რომელთა ქვეყნის სამართალიც არ ითვალისწინებს მსგავს რეგულირებას ან სათანადოდ არ იცავს მხარეებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, UNCITRAL-მა მიიღო „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ „ კონვენცია,[197] რომლის მიზანია დაეხმაროს ქვეყნებს მოახდინონ მათი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და ელექტრონული ხელმოწერა ფუნქციურ-ეკვივალენტური მიდგომის საფუძველზე გაუთანაბრონ მატერიალური ფორმით განხორციელებულ ხელმოწერას.[198]

3. ევროკავშირის მარეგულირებელი კანონმდებლობა ელექტრონულ ხელშეკრულებასთან და ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებით

3.1. ელექტრონული ტრანზაქციებისათვის შიდა საბაზრო სივრცეში ელექტრონული იდენტიფიკაციისა და სანდო მომსახურების შესახებ ევროკავშირის დირექტივა

კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტისა და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის კომისიის მუშაობის გარდა, ევროპულ კავშირში საერთო კერძო სამართლის წესებს უმაღლესი დონისკენ მიმართული ალტერნატიული განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს ევროპული კავშირის დირექტივები.[199]

---

[196] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2.116

[197] U.N. MODEL LAW ON ELECTRONIC SIGNATURES, U.N. Doc.A/56/588, U.N. Sales No. E.02.V8 (UNCITRAL 2001),

[198] Hill J. E., The Future of Electronic Contracts in International Sales: Gaps and Natural Remedies under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 2 Nw. J. Tech. & Intell. Prop. 1 (2003). 29.

[199] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 75

ევროპული კავშირის მიერ ევროპეიზაციის პროცესი მნიშვნელოვანწილად განხორციელდა დირექტივების მიღების გზით, რომლებიც ახდენს წევრი სახელმწიფოების ადგილობრივი კანონების კონკრეტული ასპექტების ჰარმონიზაციას.[200]

2014 წლის 23 ივლისს ევროკავშირმა მიიღო დირექტივა ელექტრონული იდენტიფიკაციისა და სანდო მომსახურების შესახებ ელექტრონული ტრანზაქციებისათვის შიდა საბაზრო სივრცეში,[201] რითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა 1999/93/EC დირექტივა.

ვინაიდან, ონლაინ სივრცეში სანდოობის ხარისხის ამაღლება წარმოადგენს ეკონომიკისა და სოციალური განვითარების მთავარ პირობას. ნდობის ნაკლებობა, კერძოდ, სამართლებრივი გარანტიების არ არსებობა, ხელს უშლის მოხმარებლებს, იურიდიულ პირებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს განახორციელონ ელექტრონული ტრანზაქციების და მიიღონ ახალი მომსახურება.

აღნიშნული რეგულაცია ცდილობს გაზარდოს ნდობა ელექტრონული ტრანზაქციების განხორციელებისას შიდა საბაზრო სივრცეში ერთიანი სამართლებრივი საფუძვლის შექმნით უსაფრთხო ელექტრონული სერვისებისათვის ფიზიკურ პირებს, იურიდიულ და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შორის, ამასთან კერძო და საჯარო ონლაინ მომსახურების ეფექტურობის გაზრდით.

3.2.ევროკავშირის კანონმდებლობა ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებით

უამრავმა საერთაშორისო ორგანიზაციამ მიიღო რეკომენდაციები ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებით სამართლებრივი საკითხების მოსაწესრიგებლად. მათ შორის, UNCTIRAL-ის მიერ იქნა მიღებული მოდელური კანონი ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და კონვენცია ელექტრონული ხელმოწერის შესახებ.[202] საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) მიერ მიღებულ იქნა დოკუმენტი სახელწოდებით „საერთაშორისო ციფრული კომერციის გამოყენების ძირითადი წესები“ Commerce' (GUIDEC). UNCITRAL მოდელური კანონის მიზანია სამართლის ჰარმონიზაცია, მაშინ როცა ICC-ს მიერ მიღებული დოკუმენტი ცდილობს გამოყოს ის რისკი და პასუხისმგებლობა, რაც გამომდინარეს ბიზნეს პრაქტიკიდან. [203]

---

[200] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 75

[201] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32014L0089

[202] UNCITRAL Model Law on Electronic Signatures 2001, available in electronic format at http://www.uncitral.org/pdf/english/texts/electcom/ml-elecsig-e.pdf.

[203] Stephen Mason, Barrister. Electronic Signatures in Practice. JOURNAL OF HIGH TECHNOLOGY LAW. Vol. VI No. 22006. 150-151

ევროკავშირის დირექტივა განსაზღვრავს სამი სახის ხელმოწერას - ელექტრონული ხელმოწერა, განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა. [204] განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის ზუსტ დეფინიციას დირექტივა არ იცნობს, თუმცა 26-ე მუხლის თანახმად, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს : იყოს დაკავშირებული ხელმომწერ პირთან, შესაძლებელი იყოს მისი დახმარებით ხელმომწერი პირის იდენფიტიცირება, მის შესაქმნელად გამოყენებული უნდა იყოს ელექტრონული საშუალება, დაკავშირებული უნდა იყოს სისტემურად ისე, რომ მასში ცვლილება იყოს შესამჩნევი. [205] კვალიციური ელექტრონული ხელმოწერა მოიცავს დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს, ვიდრე ზემოხსენებული ხელმოწერები და მისი გამოყენების წინაპირობებიც მეტად კომპლექსურია. [206]

UNCITRAL-ის მიერ შემუშავებული რეგულაციები წარმოადგენს პროგრესულ ნაბიჯს სავაჭრო სფეროს ჰარმონიზაციისაკენ, რადგან მათი მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში დაცული იყოს მისი ყველა მონაწილის უფლება, განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლების. თუმცა რეგულაციის მიღმა რჩება რამდენიმე მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხი. მაგ. დირექტივა არაფერს ამბობს ელექტრონული ფორმით გაგზავნილ საგადახდო ანგარიშზე, რაც თავისი არსით წარმოადგენს ელექტრონულ დოკუმენტს, თუმცა დარჩენილია რეგულაციის მიღმა.[207]

VII. საქართველოს კანონმდებლობა, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი და პერსპექტივები

1. საერთაშორისო შეთანხმებებით აღებული ვალდებულებები

თანამედროვეობაში, ქართული სახელმწიფო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა მის მიერ არჩეულმა დასავლურმა ორბიტამ, რადგან ამჯერად, მისი მოდერნიზაციის დღის წესრიგს საქართველოს ევროპულ კავშირთან ურთიერთობა და ევროპულ სამართლებრივ სტანდარტებთან დაახლოება განაპირობებს.[208]

საკანონმდებლო ჰარმონიზაციის მექანიზმების თვალსაზრისით, ყველაზე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ასოცირების შესახებ შეთანხმებას უნდა მიენიჭოს, რაც

[204] Mason S. Electronin Signatures in Law. Fourth edition.Institute of Advanced legan studies. 2017.150
[205] Mason S. Electronin Signatures in Law. Fourth edition.Institute of Advanced legan studies. 2017. 151
[206] Mason S. Electronin Signatures in Law. Fourth edition.Institute of Advanced legan studies. 2017. 159-164
[207] Dmytrenko T. Digital signatures and circulation of electronic promissory notes as means of improving the financial market transparency. Kyiv, 2018. 98-99
[208] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 76

საქართველოსა და ევროპული კავშირის ურთიერთობის უახლესი ამბიციური ფორმაა. [209]

ასოცირების შესახებ შეთანხმებით მხარეებმა აღიარებს საქართველოს ვალდებულება, ამავე შეთანხმების საფუძველზე, შესაბამის სფეროებში საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან თანდათანობით დაახლოებისა და მისი ეფექტური განხორციელების კუთხით.[210]

ეკონომიკის განვითარებისა და მყარი საინვესტიციო ატმოსფეროს შექმნის მიზნით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ელექტრონული საშუალების გამოყენებით სახელშეკრულებო ურთიერთობების დამყარება, როგორც უცხოურ კომპანიებთან, ისე ქვეყნის შიგნით არსებული ბიზნესის ხელშეწყობა. ამ კუთხით კანონმდებლობის დახვეწა, საქართველოსთვის არა მხოლოდ სასურველი, არამედ სავალდებულოც გახლავთ, ვინაიდან 2014 წლის ივნისის თვეში, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, თავისი კანონმდებლობა დაუახლოოს ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს. შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნას. შეთანხმების მე-6 თავის 1-ლი ქვენაწილი ეხება ელექტრონულ კომერციას. შეთანხმების 127-ე მუხლის თანახმად, მხარეები აღიარებენ რა, რომ ელექტრონული კომერცია მრავალ სექტორში ზრდის ვაჭრობის შესაძლებლობებს, თანხმდებიან, ხელი შეუწყონ მათ შორის ელექტრონული კომერციის განვითარებას. 128-ე მუხლის მიხედვით, საქართველომ ვალდებულება აიღო, აწარმოოს დიალოგი ელექტრონული კომერციიდან წარმოშობილ რეგულირების სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის მომხმარებელთა დაცვის შესახებ, ელექტრონული კომერციის ფარგლებში. ამ და შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა უამრავი ვალდებულების შესასრულებლად საქართველოს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5-წლიანი ვადა განესაზღვრა.[211]

ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის ძირითადი ფუნქციაა ის, რომ ინტერნეტში ხელშეკრულების დადება ლეგალურად იყოს შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ელექტრონული საშუალებებით გაფორმებული კონტრაქტები არ იყოს მოკლებული სამართლებრივ ეფექტურობასა და მოქმედებას მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ელექტრონულად არის გაფორმებული. წევრ სახელმოწიფოთა კანონდებლობის მიხედვით ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულებები უნდა იქნეს გათანაბრებული წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებებთან. გამონაკლისის სახით, წევრ

---

[209] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 77

[210] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 79

[211] ფაჩუაშვილი ნ,. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. სამართლის ჟურნალი N2, 2017. 104

სახელმწიფოთა სამართლით შესაძლოა აიკრძალოს გარკვეული ტიპის ხელშეკრულებების დადება ელექტრონული ფორმით, მათ შორის, უძრავი ქონებაზე სარგებლობის უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება (გარდა იჯარის ხელშეკრულებისა), ხელშეკრულება, სადაც აუცილებელია სასამართლოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მონაწილეობა, რწმუნებითი ხელშეკრულებები, ხელშეკრულებები, სადაც მხარე წარმოდგენილია სხვა პირის მიერ, რომლებიც წარმოადგენენ ინტერესებს თავიანთი მრეწველობის, კომპანიების, ან პროფესიების ან კონტრაქტების, რომლებიც მართავენ ოჯახის კანონით ან მემკვიდრეობის კანონით.[212]/[213]

2. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებით

ხელშეკრულების დადების ინოვაციურმა საშუალებებმა, დისტანციური და ელექტრონული კომერციის განვითარებამ, ელექტრონული მედიისა და ინტერნეტის არნახულმა პროგრესმა აუცილებელი გახადა ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების ადაპტირება ახალ ტექნოლოგიებსა და ვაჭრობის წესებთან.[214]

დღეისათვის არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და არც სხვა საკანონმდებლო აქტი არ შეიცავს დებულებებს დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შესახებ.[215]

2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, თუ მხარეები შეთანხმდნენ წერილობით ფორმაზე, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენით. ფორმის უზრუნველსაყოფად ასევე საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება, ტელეასლი ან წერილების ურთიერთგაცვლა. როგორც ვხედავთ, კანონმდებელი მიმართავს ისეთ ზოგად ფორმულირებას, როგორიცაა „წერილების ურთიერთგაცვლა“, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც ჩვეულებრივი, ისე

[212] Wright C.. Electronic Contracting In An Insecure World, SANS Legal Issues in Information Technology and Information Security. 2008. 8

[213] დეტ. იხილეთ ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 89

[214] ლაკერბაია თ. დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული მოდელი ხელშეკრულების უარყოფის უფლების მაგალითზე, სამართლის ჟურნალი N1, 2016, 89

[215] ლაკერბაია თ. დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული მოდელი ხელშეკრულების უარყოფის უფლების მაგალითზე, სამართლის ჟურნალი N1, 2016, 87

ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. ამდენად, თუ მხარეები წინასწარ შეთანხმდებიან, რომ წერილობითი ფორმის ხელშეკრულება დადონ ელექტრონული გზით, მაშინ მათ მიერ შედგენილი ელექტრონული დოკუმენტები იურიდიული ბუნებით გაუთანაბრდება ქაღალდზე შედგენილ მატერიალურ დოკუმენტებს, ანუ ხელშეკრულება დაიდება წერილობითი ფორმის დაცვით. ამასთან, აუცილებელია აღნიშნული ფუნქციურ-ეკვივალენტური მიდგომის საკანონმდებლო წესით განმტკიცება.[216]

2.2.საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“

„ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 21 აპრილის კანონით.

ახალი კანონის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს უფლება აქვთ, თავად გადაწყვიტონ, გამოიყენებენ მატერიალურ, თუ ელექტრონულ დოკუმენტს. ახალი კანონის მიზანია ელექტრონული ხელმოწერისა და სხვა სანდო მომსახურების გამოყენების სამართლებრივი მექანიზმების განსაზღვრა, რაც ხელს შეუწყობს ელექტრონული კომერციის განვითარებას ქვეყანაში.[217]

კანონის მიღება მიზნად ისახავს არსებული სამართლებრივი ბაზის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას. კერძოდ, მასში ასახულია ყველა ნოვაცია, რაც „ელექტრონული იდენტიფიკაციის, შიდა ბაზარზე ელექტრონულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული სანდო სერვისებისა და 1999/93/EC დირექტივის გაუქმების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის N910/2014 რეგულაციის ფარგლებში იქნა შემუშავებული.[218]

კანონის თანახმად ხდება ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების უფრო ფართო გავრცელება ქვეყნის მასშტაბით. [219]ელექტრონული

---

[216] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 116-117

[217] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 86-87

[218] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 87

[219] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 87

დოკუმენტის გამოყენება შეიძლება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება დოკუმენტის წერილობითი ფორმა.[220]

აღნიშნული კანონი ხელს შეუწყობს ელექტრონული დოკუმენტებისა და, კერძოდ, ელექტრონულად დადებული დოკუმენტების (დოკუმენტები, რომლებიც არასდროს ყოფილა წარმოდგენილი ქაღალდის სახით) შექმნას.[221] რაც ელექტრონული თავის მხრივ მნიშვნელოვნად ამცირებს ქაღალდის დოკუმენტბრუნვას და ამაღლებს დოკუმენტაციის დაცულობის ხარისხს.

ახალი საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას მატერიალური ხელმოწერის იურიდიული ძალა ენიჭება. პირს შესაძლებლობა ელექტრონული დოკუმენტი გამოიყენოს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება დოკუმენტის წერილობითი ფორმა (თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი).[222] კანონის თანახმად, დეტალურად არის მოწესრიგებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის საკითხი, განსაზღვრულია მისი გამოყენების წინაპირობები და სრულად არის უზრუნველყოფილი მისი სანდოობის მაღალი ხარისხი. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა უტყუარად ადასტურებს ხელმომწერის ვინაობას და იცავს ხელმოწერილ დოკუმენტს. ამასთან, ელექტრონული მმართველობის განვითარებით საგრძნობლად მცირდება ადმინისტრაციული ხარჯები, იზოგება მწვანე საფარი და გარემო.[223]

ახალი კანონის იდეა სწორედ ისაა, რომ ელექტრონული ხელმოწერის ცნებას ის აბსოლუტურად სხვანაირად ითვალისწინებს და განმარტავს. ახალი კანონით, ელექტრონული ხელმოწერა რაიმე გრაფიკული ნიშანთა სისტემა არ არის, ეს არის ბინარულ ნიშანთა, ნულების და ერთიანების კომბინაციებისგან შემდგარი სისტემა.[224]

ახალი კანონი არ განსაზღვრავს იმ ჩამონათვალს, რომელიც განისაზღვრებოდა ძველი კანონის მე-3 მუხლით. იგი ატარებს ბლანკეტურ ხასიათს მისი წინამორბედისაგან განსხვავებით.[225]

---

[220] იხ. განმარტებითი ბარათი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე.

[221] http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=7713

[222] http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5333

[223]https://sda.gov.ge/?us_portfolio=2019-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-1-%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%AA

[224]http://www.gmtv.ge/%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1/

[225] ამირანაშვილი გ. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 90

საბოლოოდ, კანონის თანახმად მართალია ელექტრონული ფორმით შედგენილი დოკუმენტი გათანაბრებულია მატერიალური ფორმით შედგენილ დოკუმენტთან, ამასთან, როგორც აღვნიშნე, ელექტრონული ხელმოწერის საკითხიც მოწესრიგებულია დირექტივის რეგულირების მიხედვით, მაგრამ ეს კანონი და არც სხვა მოქმედი ნორმატიული აქტი არ არეგულირებს ნაშრომში აღნიშნულ სხვა საკითხებს ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებით.

მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდანა არაპირდაპირ გამომდინარეობს ფორმის თავისუფლების პრინციპი, თუმცა, შესაბამისი ნორმის ფორმულირების ბუნდოვანება არ უნდა გახდეს იმის თქმის საფუძველი, რომ არ არის აღიარებული ფორმის თავისუფლება, რადგანაც ამ უკანასკნელის განმტკიცება განპირობებულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის არსებობით და გამონაკლისი ფორმის თავისუფლების პრინციპიდან გარიგების სავალდებულო ფორმის დადგენით გამოიხატება.[226]

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ბლანკეტური ხასიათისაა. საჭიროა განისაზღვროს ისეთი შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ გარიგებებთან ან ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომლებიც წერილობით უნდა დაიდოს , გამორიცხული იქნება მხარეთა შეთანხმება ელექტრონული ფორმის გამოყენებაზე, როდესაც წერილობითი ფორმა განზრახვის სერიოზულობის/გაფრთხილების ფუნქციის მატარებელია. შესაბამისად, ქართული კანონმდებლობით ამგვარი შემთხვევების გაუთვალისწინებლობა არ უნდა შეფასდეს მათთან მიმართებით ფორმის თავისუფლების მოქმედებად. [227]

[226] ამირანაშვილი გ.გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 270

[227] ამირანაშვილი გ.გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2018. 271

VIII. დასკვნა

საქართველოში საბაზრო-ეკონომიკური ხასიათის ურთიერთობების განხორციელებისათვის აუცილებელია თავისუფალი სამეწარმეო გარემო და ელექტრონულ ბიზნესში ჩართული კონკურენტუნარიანი სამეწარმეო სტრუქტურები, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. ელექტრონული ვაჭრობის განვითარებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ერთიანი საკანონმდებლო სტრატეგიის შემუშავება და მის შესაბამისად ელექტრონული ფორმით ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საკითხების რეგლამენტაცია.

ელექტრონული დოკუმენტის სამართლებრივ აღიარებასა და მის ნამდვილობასთან დაკავშირებული საკითხის რეგლამენტაცია აუცილებლად უნდა მოხდეს ე.წ. „ფუნქციურ-ეკვივალენტური მიდგომით“, რომელიც „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ UNCITRAL-ის მოდელური კანონის ფუძემდებლური პრინციპია და ეფუძნება ქაღალდზე დოკუმენტების შედგენისათვის წაყენებული იურიდიული მოთხოვნების მიზნებისა და ფუნქციების ანალიზს, რათა დადგინდეს, ეს მიზნები და ფუნქციები როგორ უნდა იქნეს მიღწეული ან შესრულებული საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩარჩოებში. ამ მიდგომის საკანონმდებლო წესით განმტკიცება უზრუნველყოფს ქაღალდზე შესრულებული დოკუმენტისადმი წაყენებული მოთხოვნების დაცვას დოკუმენტის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შედგენისას.[228] ასევე, მნიშვნელოვანია ელექტრონული შეტყობინების გაგზავნისა და მიღების წესის (დრო,ადგილი,გამოსაყენებელი სამართალი) შესახებ საკანონმდებლო რეგულაციის არსებობა.[229]

კანონის შექმნა ზოგადი წესრიგის შესანარჩუნებლად და სამართლებრივი ურთიერთობების ჩარჩოების შესაქმნელად, რისი ფორმირებაც უნდა მოხდეს განვითარებული ტექნოლოგიების მქონე ქვეყნების მოქმედი კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული მოდელური კანონებისა და რეკომენდაციების ბაზაზე, ნორმათა ჰარმონიზაციისა და ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების საფუძველზე. მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი ჩვენი ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკურ სისტემასთან ადაპტირება.[230]

---

[228] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 137

[229] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 137

[230] ზამბახიძე თ. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2. 137-138

ბიბლიოგრაფია

1. გამოყენებული საკანონმდებლო აქტები

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- ელექტრონული დოკუმენტისა და სანდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონი
- საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ ვენის კონვენცია
- "ელექტრონული ხელმოწერის შესახებ" დირექტივა
- "ელექტრონული ვაჭრობის შესახებ" დირექტივა
- "შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულების მომხმარებელთა დაცვის შესახებ" დირექტივა
- „მომხმარებელთა დაცვის შესახებ" დირექტივა
- „საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენების შესახებ" ევროკავშირის კონვენცია

2. გამოყენებული ლიტერატურა

2.1. ქართულენოვანი ლიტერატურა

ამირანაშვილი გ. — გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. გამომცემლობა „მერიდიანი". თბილისი, 2018.

ანდღულაძე ქ. — ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამართლის ჟურნალი N1, თბილისი, 2014.

ბუაძე ქ. — ტექსტური ფორმა ელექტრონული ფორმით დადებულ გარიგებებში. თბილისი, 2012.

ბაღიშვილი ე. — საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. მუხლი 330.

გამისონია ზ. — ინტერნეტის გამოყენებით ხელშეკრულებათა დადება, ჟურნალი "პროფესია ადვოკატი". თბილისი, 2007.

დარჯანია თ	სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი I, მუხ.1-146. თბილისი, 2017.
ერქვანია თ.	მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა, მართლმსაჯულება და კანონი N3(30). თბილისი, 2011.
ზამბახიძე თ.	ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა).ქართული სამართლის მიმოხილვა . თბილისი, 2005.
თუმანიშვილი გ.	გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება). თბილისი, 2012.
კერესელიძე დ.	კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2009.
ლაკერბაია თ.	დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული მოდელი ხელშეკრულების უარყოფის უფლების მაგალითზე, სამართლის ჟურნალი N1, თბილისი, 2016.
მარიამიძე გ.	სახელძღვანელო კონსპექტი იურისტებისთვის, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი 1 ნაწილი, თბილისი, 2011.
ტაბატაძე დ.	გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრა ელექტრონული ხელშეკრულებით, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი

ფაჩუაშვილი ნ.	ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, სამართლის ჟურნალი N2, 2017
ქოჩაშვილი ქ.	თავისუფლების შესახებ (მეტასამართლებრივი გააზრება), გამომცემლობა „ბონა კაუზა“. თბილისი, 2018.
ძლიერიშვილი ზ./ცერცვაძე გ./ რობაქიძე ი.სვანაძე გ./ ცერცვაძე ლ/ჯანაშია ლ.	სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014.
ჭანტურია ლ.	სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა „სამართალი“. თბილისი 2011.
ჭანტურია ლ.	სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი I, მუხ.1-146. თბილისი 2017
ჭანტურია ლ.	საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებით სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001
ჭეჭელაშვილი ზ,	სახელშეკრულები სამართალი. თბილისი 2014.
ჯორბენაძე ს.	ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში. თბილისი 2017

2.2. უცხოენოვანი ლიტერატურა

Burton J.S.	Contract Law: Selected Source Materials. 2009 Edition.
Burrows A./Pell E	Contract Formation and Parties. The Oxford-Norton Law Colloquium.Oxford University Press. 2010.
Bolam P./Choi R.	Electronic signatures : when are they effective? Internet Law Bulletin LexisNexis Vol 15 .No 7. 2012.
Christensen Sh.	Formation of Contracts by Email – Is it just the Same as the Past? Queensland University of Technology Law & Justice Journal 2001
Dmytrenko T.	Digital signatures and circulation of electronic promissory notes as means of improving the financial market transparency. Kyiv, 2018.
Gisler Michael/ Stanoevska-Slabeva Katarina/Greunz Marcus.	Legal Aspects of Electronic Contracts. Infrastructures for Dynamic Business-to-Business Service Outsourcing (IDSO'00) Stockholm, 5 - 6 June 2000.
Glatt C.	Comparative Issues in the Formation of Electronic Contracts, International Journal of Law and Information Technology, Vol. 6, No. 1, 1997.
Hahnkamper W.	Acceptance of an Offer in Light of Electronic Communications. Journal of Law and Commerce. Vol. 25:147.2005.
Holmes S., Stevens v.	The Rise of “No E-Mail Modifi caton” Clauses?, Washington Journal of Law, Technology& Arts, Vol. 6, Issue 1, 2010.

Hill S. W. B., When Is the Contract Formed?, Journal of Law and Information Science, Vol. 12, No 1, 2001.

Ibrahim M.A., Ababneh A., Tahat H. The Postal Acceptance Rule in the Digital Age, Journal of International Commercial Law and Technology, Vol. 2, Issue 1, 2007.

Johnson K.D., Measuring Minimum Contracts over the Internet: How Courts Analyze Internet Communications to Acquire Personal Jurisdiction over the Out-of-state Person, University of Louisville Law Review, Vol. 46, 2008.

Hill.J. E. The Future of Electronic Contracts in International Sales: Gaps and Natural Remedies under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods. Volume 2, Number 1. 2003

Lando/Beale Principles of European Contract Law, Parts I and II (Combined and Revised), prepared by the Commission of European Contract Law, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000

Murray, Andrew D. Entering into contracts electronically: the real W.W.W. In: Edwards, Lilian and Waelde, Charlotte, (eds.) Law and the Internet: a Framework for Electronic Commerce. Hart Publishing, Oxford, UK. 2000

Majidnia A. The study of rules and process of electronic contracts. Bulletin of the Georgian National Academy of sciences. 8.No2,2014.

Martin Ch. H. The Electronic Contracts Convention, the CISG, and New Sources of E-Commerce Law. Tulane Journal of International &

Comparative Law, Vol. 16, No. 2. 2008.

Markesinis/Lorenz/Dannemann, The German Law of Obligations: The Law of Contracts and Restitution : A Comparative Introduction, 1997.

Mason S. Signatures in Law. Fourth edition.Institute of Advanced legan studies. 2017

Nolan D. Offer and Acceptance in the Electronic Age. Chapter of a book.Contract formation and parties. A. Burrows, E. Peel, eds. Oxford, U.K., Oxford University Press. 2010

Rodziewicz P. Uniform law on electronic contracts as a step forward in elimination barriers of electronic commerce. Wrocław, Poland.

Tasneem F. Electronic Contracts and Cloud Computing. Journal of International Commercial Law and Technology. Vol. 9, N 2(2014).

Qerimi I. Electronic Signature and Electronic Contract, Comperative Aspect of Kosovo and Developed Countrie. European Journal of Fomal Sciences and Engineering. Volume 1, Issue 2. 2018.

Sung-Ho Park. A Comparative Legal Research on Contract Formation via Electronic Means: Time Lag of Contract Creation in the International Sales Transaction.2008

Wright C. Electronic Contracting In An Insecure World. SANS Legal Issues in Information Technology and Information Security. 2008.

2.3. გადაწყვეტილებები

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე : №as-1633-1623-2011, 26დეკემბერი, 2011, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-862-862-2018 http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 04 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-11-11-2018 http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის Nას-1300-1320-2011 განჩინება

2.4. ელექტრონული რესურსები

United Nations Convention on the Use of Electronic Communications in International Contracts. New York, 2007 https://www.uncitral.org/pdf/english/texts/electcom/06-57452_Ebook.pdf

United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods. www.jus.uio.no/lm/un.contracts.international.sale.goods.convention.1980/doc.html

Unidroit Principles of International Commercial Contracts. Official Comments. http://www.unilex.info/dynasite.cfm?dssid=2377&dsmid=109294

http://civilcode.ge/index.php?title=%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98_69._%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90

UNCITRAL Model Law on Electronic Commerce with Guide to Enactment (1996) with additional article 5 bis as adopted in 1998, http://www.uncitral.org/pdf/english/texts/electcom/05-89450_Ebook.pdf

Electronic Commerce Directive, European Commission, 1998, http://ec.europa.eu/internal_market/e-commerce/ directive/index_en.htm

Directive 1999/93/EC of the European Parliament and the Council of Europe of 13 December 1999 on Community framework for electronic signatures, Official Journal L 013, 19/01/2000, 0012-0020; http://rechten.kub.nl/simone/Eu-sig.htm

Directive 2000/31/EC of the European Parliament and the Council of Europe of 8 June 2000 on certain legal aspects of information society services, in particular electronic commerce in the Internal Market (Directive on electronic commerce), Official Journal of the European Communities 17/7/2000. http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5333